მე უფსვედრივარ სტალინს

ნათელი, მზვიდი, მზიანი დღე იყო. სტალინი უსანინებავად გამოიყურებოდა. ეცვა თეთრი ჭილოვის კიტელი, ჩეჩმეზში ჩატანებული შარვალი. გრუზა თმას იზვიათი ჭალარა ულაგაზებდა.

დღეს გთავაზობთ ჩეკისტების პირველი თაობის წარმომადგენლის — სარდიონ ნადარიას მოგონებების ფრაგმენტს, რომელიც 1931 წელს აფხაზეთში იოსებ სტალინის ჩამოსვლის პერიოდში დაიწერა. სარდიონ ნადარია ამ პერიოდში ავტონომიურ რესპუბლიკაში მუშაობდა და იქ განვითარებული მოვლენების მონაწილე და თვითმხილველი იყო. ამ საინტერესო კაცის მოკლე ბიოგრაფია და მემუარები რედაქციას გადმოსცა ცნობილმა სამართალმცოდნემ, საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილმა წევრმა, იუსტიციის გენერალმა ვახტანგ გვარამიამ.

კვლეი ჩეკისტის ჩანაწერები, როგორც 88 წლის უფსვედ პირველად გამოგვაქვს გზის სინათლეა



სარდიონ ნადარია

სარდიონ ნადარია დაიბადა 1903 წელს სენაკის მაზრის სოფელ სეფეთში, მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში.

მამა — ნიკოლოზი სოფლის პირობაზე მდიდარ გლეხად ითვლებოდა, დედა — ტასო ნინიანი დიასახლისი იყო.

სარდიონის მამა უარყოფითად შეხვდა საქართველოს გასაბჭოებას. როდესაც 1921 წლის გაზაფხულზე მხარზე შემხანაგადაკიდებული სარდიონი ქუდზე წითელი ზაფითი ჩავიდა სეფეთში, მამამისმა, როგორც ბოლშევიკი, გააგდო სახლიდან.

სარდიონის ძმა სეპირიანი მენშევიკური პარტიის აქტიური წევრი იყო. საქართველოს გასაბჭოებისთანავე მენშევიკებთან ერთად გადაწყვიტა უცხოეთში გაქცევა და თავისი განზრახვა გაანდო სარდიონს.

სამტრედიის რაიონის საგანგებო კომისიამ სარდიონის თხოვნით რამდენიმე დღით დააკავა სეფერიანი. ის 1945 წელს კომუნისტური პარტიის წევრი გახდა, მადლობელი იყო ძმის, რომელმაც მისი სურვილის საწინააღმდეგოდ საქართველოში დატოვა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან სარდიონ ნადარია მუშაობას იწყებს უშიშროების ორგანოებში. დაუახლოვდა ლაზარენტი ბერიანს.

1937-38 წლებში შინსახკომის შინაგანი ციხის უფროსი იყო.

ახლობლების გადმოცემით, 1938 წლის დამლევს სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის რანგში საქართველოში ჩამოსული ლავრენტი ბერია მასპინძლებმა სათევზაოდ წაიყვანეს. ასაფეთქებელი მონობილობის მონტაჟისას ბერია ნადარიათან მივიდა. სარდიონმა სთხოვა, უსაფრთხოების მიზნით დაეკავებინა იგი მარტო. ბერიამ გაკვირვებულმა ჰკითხა: „კი მაგრამ, შენ?“, ნადარია იმ უპასუხა: „ბერია ერთია, ჩემისთანა კი — ბერი“.

იმავე წელს სარდიონი გადაიყვანეს მოსკოვში, სსრკ შინსახკომისა ცენტრალურ აპარატში, ლავრენტი ბერიას უშუალო დაქვემდებარებაში.

მას, როგორც ხელისუფლების ნდობით აღჭურვილ პირს, უფლება ჰქონდა, შეიარაღებ-

ული შესულიყო ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, მათ შორის, კრემლში.

გადმოცემით, 1953 წლის 26 ივნისს ნადარია იმავი, რომ მთავრობის სხდომაზე მზადდებოდა ბერიას დაპატიმრება. ამ უკანასკნელის გასაფრთხილებლად ნადარია სასწრაფოდ წავიდა კრემლში. შენობაში შესულს შეხვდა ბერიას პირველი მოადგილე, გენერალი სეროზი. „დააგვიანე, სარდიონ, „ხაზინი“ აიყვანეს“, — უთხრა და პირადი იარაღი ჩამოართვა. ნადარია იმავე დღეს დააპატიმრეს. გასამართლეს 1955 წელს რუხძქესთან, რაფაგასა და სხვებთან ერთად და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

გათავისუფლდა 1963 წელს. გარდაიცვალა მოსკოვში 1982 წელს. საქართველოში უკანასკნელად 1965 წელს ჩამოვიდა.

დარჩა ორი შვილი: რევაზი — დაბადებული 1931 წელს და ნიკო — დაბადებული 1939 წელს.

მისი მეუღლე ანიკო ბერძენიშვილი გარდაიცვალა 1987 წელს.

სწორედ ამ სამწუხარო შემთხვევასთან არის დაკავშირებული სარდიონ ნადარიას ჩანაწერების საქართველოში ჩამოტანა.

ვახტანგ გვარამია იხსენებს, რომ მამის მას, როგორც თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეს, ორი დღით გაათავისუფლება სთხოვა თანამშრომელმა ოთარ ნადარიამ მოსკოვში ბიციოლას დაკრძალვაზე დასასწრებად. საუბარში გაიჩვენა, რომ ქალბატონი ანიკო სარდიონ ნადარიას ცოლი იყო.

ვახტანგ გვარამიამ იცოდა, როგორი საინტერესო პიროვნება იყო სარდიონ ნადარია და სთხოვა კოლეგას, თუ შეიძლებოდა ექნებოდა, ჩამოეტანა საქართველოში მისი ბიძის ჩანაწერები. ოთარ ნადარიამ ჩამოიტანა. მას შემდეგ ეს ყურადსაღები ხელნაწერი ვახტანგ გვარამიასთან ინახებოდა. და დღეს, 88 წლის შემდეგ პირველად გამოგვაქვს მზის სინათლეზე.

1931 წლის აპრილში საქართველოს სადირექტივო ორგანოების გადანაცვლებით სამუშაოდ გადამიყვანეს აფხ-



სტალინი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები

აზეთის ასსრ-ში სახელმწიფო უშიშროების პოლიტიკური სამმართველოს გაგრის განყოფილების გამგედ. დამეჯალა წესრიგის დამყარება გაგრის რაიონში, განსაკუთრებით, ქალაქ გაგრაში, სადაც მოსკოვიდან დასასვენებლად ჩამოვიდოდნენ საკავშირო საბჭოთა და პარტიული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები.

იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის სოციალურ სანყისებზე გადასვლასთან დაკავშირებით აფხაზეთში კლასობრივი ბრძოლა ერთგვარად გამწვავდა, რაც გამოწვეული იყო ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების მიერ ამ პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების და მახინჯეობით რეალობით.

თბილისიდან გამოგზავნის ნინ გამაფრთხილეს, რომ გაგრაში დასასვენებლად შეიძლება ჩამოვიდესო იოსებ სტალინი. ლავრენტი ბერიამ მიიჩნია, სტალინთან შეხვედრის დროს მისთვის მიემართა მხოლოდ ასე: „ამხანაგო კობა“.

იმ დროს გაგრაში არავითარი საპასპორტო რეჟიმი არ მოქმედებდა, რაიონში და ქალაქში საბჭოთა კავშირის ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერი კუთხიდან შეეძლო დარ-

ჩენა, რა დროითაც მოსურნეობდა.

ცნობილია, რომ ქალაქ გაგრაში და გაგრის რაიონს თავი შეაფარა თეთრი ემიგრანტებისა და კულაკური ელემენტების დიდმა რაოდენობამ. მათგან ამ კუთხის, განსაკუთრებით კი, ქალაქ გაგრის განმეინდა ჩვენ გვევალებოდა. ამასთანავე, მოსახლეობისთვის უნდა ჩამოგვეერთვა არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი. ამ საქმეს ინიციატივების გარეშე გაგართვით თავი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებითა და მონაწილეობით.

1931 წლის აგვისტოს ბოლოს მიგრეკავენ სახელმწიფო უშიშროების პოლიტიკური სამმართველოს სოჭის განყოფილებიდან და ჩასვლას მოხლოვნი.

ჩასვლისთანავე დასახელებული ორგანოს უფროსი მეუბნება:

— ჩვენთან ისვენებს სტალინი. ვვარაუდობთ, რომ თქვენთანაც ჩამოვა. როგორც კი გაირკვევა, როდის იქნება თქვენთან, ტელეფონით გაცხივებთ: „გაგრაში გამოემგზავრა სტეფანე, დახვდით!“

ორი დღეც არ იყო გასული, რომ დამირეკეს და ეს პროლოგი

გადმომცეს. ნისტორ ლაკობა საქმის კურსში იყო. სასწრაფოდ გავვარდი შესატყობინებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სადაც სათევზაოდ წასულიყო.

გაგრაში ჩამოსულ სტალინს არავინ დახვდებოდა. იგი გაემგზავრა ქალაქგარეთ. გადმოვიდა მანქანიდან და ჩრდილს შეაფარა თავი. წარუდექი და მარცხენა ხელი ჩამოსართმევად გაუწოდე, რადგან მარჯვენაში დაჭრილი ვიყავი და დაბინძურებული მქონდა.

— რა დაგემართა? — შემეკითხა.

მოვასხენე: — ამხანაგო კობა, მსუბუქად ვარ დაჭრილი.

— იოლად გადარჩენილხარ. სადაა ლაკობა?

მოვასხენე, რომ ლაკობა სადაც იყო წასული სათევზაოდ.

ჩაეღიმა.

ნათელი, მშვიდი, მზიანი დღე იყო. სტალინი შესანიშნავად გამოიყურებოდა. ეცვა თეთრი ჭილოვის კიტელი, ჩეჩმეზში ჩატანებული შარვალი. გრუზა თმას იზვიათი ჭალარა ულაგაზებდა.

მანქანაში მოფერი, ქალი და კაცი ისხდნენ. ლაკობას მოსაძებნად წასვლის ნება ართვა ვთხოვე. ნება

დამართო ჩაჯდა მანქანაში, რომელმაც გეზი სოხუმისკენ აიღო. კვლადაკვალ სხვა მანქანა მიჰყვა, რომელშიც სამი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი იჯდა. უთუოდ მისი დაცვა იყო, რომელიც გზაში ჩამორჩა და ახლად დაენია.

ჩემს თანამშრომელს დავავალე, ეპოვნა ლაკობა, თავად კი ჩემი „გაზიკით“ სტუმრებს გავყევი.

სოხუმის მახლობლად ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელ სახლში შეუხვია.

ჩემს თანამშრომელს დავავალე, ეპოვნა ლაკობა, თავად კი ჩემი „გაზიკით“ სტუმრებს გავყევი. სოხუმის მახლობლად ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელ სახლში შეუხვია. ჩემს თანამშრომელს დავავალე, ეპოვნა ლაკობა, თავად კი ჩემი „გაზიკით“ სტუმრებს გავყევი. სოხუმის მახლობლად ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელ სახლში შეუხვია. ჩემს თანამშრომელს დავავალე, ეპოვნა ლაკობა, თავად კი ჩემი „გაზიკით“ სტუმრებს გავყევი.

— ვილაც „მდივნუშკები“ ჩამოდიან, მე მათი მიღების უფლება არ მაქვს, — უპასუხია დიასახლისს.

მიქელაძემ ეს რომ გაიგო, ისე შეშინდა, რომ კინაღამ ცხოვრება გაათავა. როცა დირექტორს უთხრეს, ვინ არ შეუშვა სახლში, ქალს გული წაუვიდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

სტალინმა თავისთან მიიწვია გონზე მოსული დირექტორი, გაამხნევა, უთხრა, რომ სწორად მოიქცა და ირონიულად შეეკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, თქვენთან ისე ხშირად ჩამოდიან ცეკას „მდივნუშკები“, რომ თავი მოგაბეზრეს?

ნისტორ ლაკობას დავალე-ბით დაუყოვნებლივ გავემგზავრე უფედროს, სადაც თბილისიდან უნდა ჩასულიყვნენ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის („ხაკრაიკომის“) მდივანი ქართველი მდივანი და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარე ლავრენტი ბერია. ჩასვლისთანავე შეხვდით მათ და დაწვრილეთ მოუყევი გაგრაში სტალინის ჩამოსვლის ამბავი. ბერიამ თქვა, რომ ქალი, რომელიც მასთან (სტა-



სოხუმის მახლობლად ორჯონიძის სახელობის დასასვენებელ სახლში შეხვედრა. ჩვენ — მე და აფხაზეთის პოლიტსამმართველოს უფროსი მიქაელაძე რომ დავხვდებით, ასეთი სურათი დაგვხვდა: სტალინსა და მის თანამგზავრებს დასასვენებელი სახლის ეზოში, დიდი ხის ჩრდილში გაშლილი ხალიჩა, სხადან და საუბრობენ. დასასვენებელი სახლის დირექტორს, რომელიც არავის გაუფრთხილებია, არ შეუშვია შენობაში; ვიღაცას უთქვამს, ცეკას რომელიღაც მდივანი ჩამოვიდაო (სტალინს თანამგზავრებისთვის აუქრალია თავიანთი ვინაობის გამჟღავნება).

ლინთან) ერთად ჩამოვიდა, მისი ცოლი ნადეჟდა ალილუევა, კაცი კი — დაცვის უფროსი ვლასიკი. ჩამსვეს თავიანთ მანქანაში და დავიძარით სოხუმისკენ, ორჯონიძის დასასვენებელი სახლისკენ, სადაც გაიმართა ბანკეტი აფხაზეთის ასსრის საბჭოთა და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელების მონაწილეობით. საღამოს 10 საათზე კი გავაცივლეთ სტალინი გავრის რკინიგზის სადგურამდე, საიდანაც ქართველი მშვილთან, ბერიასთან, ლაკობასთან და სხვებთან ერთად მატარებლით გავემგზავრა ნყალტუბოში. იმ დროს სოხადან სოხუმამდე რკინიგზა გაყვანილი არ იყო.

1931 წლის სექტემბრის ბოლოს სტალინი ბერიას, ლაკობასა და სხვების თანხლებით ნყალტუბოდან დაბრუნდა და გაგრამში დაბინავდა.

საღამოს 6 საათი იყო. სტალინის პატივსაცემად მცირე ბანკეტი გაიმართა. ესწრებოდნენ: სტალინი მეუღლითურთ, ბერია, ლაკობა მეუღლითურთ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ლადარია, გავრის კურორტების სამმართველოს დირექტორი მიხეილ ლაკობა, პარტიის გავრის რაიკომის მდივანი კიუტი და აფხაზეთის ასსრ-ის ორი სახალხო კომისარი.

იმ დროს ჩემს განკარგულებაში დაცვის სამი თანამშრომელი მყავდა. დამატებით მომამარეს სასაზღვრო დაცვის კავალერისტების ოცეული, რომელიც განაწილებული იყო სტრატეგიულ პუნქტებზე, უმთავრესად, ლამ-ლამობით სანაპირო ზოლზე საეჭვო პირების გადმოსხმის აღსაკვეთად. ვახშმის დანყებამდე ბერიამ მიხმო და მკითხა, შევძლებდით თუ არა შემონმებული ოფიციალური ქალის მონახვას, რომელიც მოემსახურებოდა სტუმრებს. ვუპასუხე, უკვე გვიანაა და ასეთი ქალის მოიგებოდა შეგვეძლო ყოველმხრივ შემონმებული, კვალიფიციური ოფიციალური მამაკაცის მიხვევა, რომელიც გავრის სასტუმროს რესტორანში მუშაობდა. გვარად იყო მეტრეველი. ბერია დამეთანხმა.

ლამის პირველი საათი იქნე-

ბოდა, როცა საბანკეტო დარბაზში შევიხვედ. ბერიამ დამიძახა და მეუბნება:

— მაგიდის ბოლოში დაჯექი, იქ არის თავისუფალი ადგილი. აიღე ჭიქა და სტალინის სადღეგრძელო დალიე. გაითვალისწინე, რომ მისი სადღეგრძელო უკვე შეესვით, და თუ შეგეკითხება, რატომ მაშინ არ თქვი, როცა ყველამ შესვა ჩემი სადღეგრძელო, უპასუხე: „ბოდიშს გიხდით, ამხანაგო კობა, დავიგვიანე, აქ არ ვიყავი“.

იძულებული გავხდი, დავთანხმებულყავი.

მაგიდის ბოლოში თავისუფალი ადგილი ვიპოვე და დავდექი, რადგან ყველანი ფეხზე იდგნენ. ქალები დასასვენებლად იყვნენ ნასულები, გვიანი იყო.

სტალინის მარჯვნივ ისხდნენ ნესტორ ლაკობა, შემდეგ — ორი სახალხო კომისარი სოხუმიდან და კიუტი; სტალინის მარცხნივ — ბერია, ლადარია, მიხეილ ლაკობა და ადამია. ყველა მხიარულ ხასიათზე იყო. იქაურობას რომ შევვჩვიე, ჭიქა ავიღე და მივმართე სტალინს:

— ამხანაგო კობა, ნება მომეცით, შეგსვა თქვენი სადღეგრძელო.

მაგიდასთან აბსოლუტური სიჩუმე ჩამოვარდა.

— რატომ მაშინ არ დალიე ჩემი სადღეგრძელო, როცა ყველამ შესვა? — მეკითხება სტალინი.

ჩემს პასუხს: — ბოდიშს ვიხდდი, დავიგვიანე, აქ არ ვიყავი, მისი შეკითხვა მოჰყვა:

— ხომ იცი, რომ დავიგვიანებულე ურტყამენ?

ამ რეპლიკამ მოკლე სიტყვა შემანყვეტინა, მაგრამ უცებვე მოვეგე გონს და დავაპასუხე: — გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კიდევ და კიდევ ჯანმრთელობას!

სტალინი ბევრს ენეოდა. ჩიბუხში თამბაქო რომ ჩაიფრულეობოდა, პაპიროსს ჩანაცვლებდა.

ეს ბანკეტი ჩვეულ ვახშამს არ ჰგავდა, უფრო საქმიანი თაბიბი იყო, სადაც ფრიად საინტერესო და აქტიუალური პოლიტიკურ პრობლემები განიხილავდნენ.

თუ რომელიმე მონაწილე ბელადის სადღეგრძელოდ წარმოთქმულ სიტყვაში პოლიტიკურ ლაფსუსს დაუშვებდა ან

გაქოალი ბუნიათადა აბობდა, როგორ პარტიის საქმისთვის მზად იყო, ნებისმიერ დროს თავი მოეკლა — თუ საქმე გზდა. ეს სისულელე და უჭკუობაა. დადგება დრო და ყველა ჩვენგანი მოვკვდებით. ეს პარტიის მოთხოვნის გარეშე მოხდება



ორჯონიძე, მიქოიანი, სტალინი და აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობა, სოხუმი, 1927 წ.

ნაუქლესავებდა, სტალინი მას დაუნდობლად აკრიტიკებდა. სწორედ ამ ისტორიულ, ჭკუის სასწავლებელ მომენტებზე მინდა შევჩერდე. ისინი მესხიერებაში ისე ჩამეჭვდა, რომ არასოდეს დამავინწყებდა. *** ვახშმის თამადა ნესტორ ლაკობა ხელმოწერა წარმოთქვამს იოსებ სტალინის სადღეგრძელოს. ჩამოთვლის მის დამსახურებას პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე. ეშხში შესულს სტალინი შეანყვეტინებს სიტყვას და სთხოვს, გააგრძელოს მას შემდეგ, რაც ჩემთან საუბარს დაამთავრებს.

— რა გვარის კაცია და რა

ჭკვია ოფიციალტს? — მეკითხება სტალინი. ვუპასუხე: — მეტრეველი ვასო. მცირე ყოვნის შემდეგ სტალინი ოფიციალტს ქართულად მიმართავს: — ეტყობა, რაჭველი ხარ. მეტრეველი აღეუვებულია და სიხარულით უპასუხებს: — დიახ!

სტალინი ყვება: — 1927 წელს მე და სერგო ორჯონიძე რაჭის მაზრაში ჩავედით. მთელი დღე საქმით ვიყავით დაკავებული. ლუკმა პირში არ ჩავგვსვლია. როცა იქ მივედით, სადაც ვახშამი უნდა დაეხვედრებინათ, გაირკვა, რომ ჩვენს გასამასპინძლებლად არაფერი ჰქონდათ მომზადებული. სერგო განაწყენდა, ანერვიულდა. ვუბნებთ: „მოითმინე, კახაკო, ატანანი გახდები“. დატრიალდნენ მასპინძლები. შუა ღამეს გადასცა. მთელი დღის დაღლილებს ერთი სული გვექონდა, დავვესვენა. ვივახშმეთ და წასვლა დავაპირეთ. რაჭველები გვეუბნებიან: „თქვენთან დაჯდომა და საუბარი რომ მოვისურვეთ, დგებით და მიდხართო?“ ვუპასუხე, რომ თავს ცუდად ვგრძნობ და დიდი ბოდიში უნდა მოგიხადოთ, იძულებული ვარ დაგტოვოთ და წავიდე-მეთქი. ნავედი დასაძინებლად. რაჭველები ძალიან ზანტები არიან, მაგრამ, თუ აიშვებს, ადვილად ვერ გააჩერებ.

სტალინი კვლავ დაყოვნდა და განაგრძო: — თქვენ ჩემი სადღეგრძელო დალიეთ. არ დავინწყებ გათოკვლევას, ვინ იყო ეს კაცი უნინ (მეტრეველზე მიგვითითა), ამჯერად მუშაა, გვემსახურება. მისი სადღეგრძელო არ დავილევი, ამიტომ გთავაზობთ, შეგსვათ მეტრევე-

ლის სადღეგრძელო.

შემდეგ მიუბრუნდება ნესტორ ლაკობას:

— ლაკობა, შეგიძლიათ განაგრძოთ თქვენი სიტყვა.

ლაკობა ცოტა შეწუხდა, მაგრამ შეძლო ემოციის მოთოკვა და დალია კობასა და მეტრეველის სადღეგრძელო.

კობას და მეტრეველის სადღეგრძელო წარმოთქვა ბერიამაც — მოკლედ და გასაგებად ილაპარაკა.

შემდეგი ლადარია გამოვიდა. მალაფარდოვანი სიტყვით მიმართა სტალინს, ჩამოთვალა მისი მიღწევები პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე. ამკარად ჩანდა, რომ სტალინს არ სიამოვნებდა მისი მოსმენა, და როცა ლადარიამ თქვა — „ამხანაგო კობა, თუ საქმე გზდა პარტიის საქმისთვის, მზად ვარ თავი მოვიკლა“, სტალინიმ შეაჩერა:

— ბაქოელი ბუნიათადა აბობდა, რომ პარტიის საქმისთვის მზად იყო ნებისმიერ დროს თავი მოეკლა — თუ საქმე გზდა, შემიძლია მესამე სარტულიდან მეოთხეზე ავიდე და ქიდან ქვაფენილს დავენაცხო. ეს სისულელე და უჭკუობაა. დადგება დრო და ყველა ჩვენგანი მოვკვდებით. ეს პარტიის მოთხოვნის გარეშე მოხდება.

ყველა სულგანაბული უსმენდა.

— აი, რას მოვიტხოვ აფხაზეთის ყველა ახალი თუ ძველი ორგანიზაციისგან — მომავალში არ გაიმეოროთ ის, რაც თქვენთან, გუდაუთის რაიონში მოხდა. გლეხობის ძირითად მასას გავგებით უნდა მოეკიდოთ, დანარჩენებს — ნაკლებად.

მას მხედველობაში ჰქონდა კოლმეურნეობების წინააღმდეგ კულაკების გამოსვლა. ას-

ეთი მწვავე კრიტიკის შემდეგ აღარავის დარჩა სიტყვის წარმოთქმის განსაკუთრებული სურვილი.

ცოტა ხნის შემდეგ მიხეილ ლაკობა იტყვის კობას და მეტრეველის სადღეგრძელოს. მას სიტყვას გაანყვეტინებს ნესტორ ლაკობა (მისი ძმა), უთუოდ იმ მიზნით, რომ გაეფანტა შექმნილი მიმე განწყობილება და გაეხალისებინა სუფრა. მიმართავს სტალინს და უყვება:

— ამხანაგო კობა, როცა 1924 წელს აქ იყო ტროცკი, მიხეილ ლაკობამ იხვეზე სანადიროდ წაიყვა, მოემსახურა მეძებარი ძაღლივით: ტროცკი იხვს რომ მოახვედრებდა და ნანადირევი ლაქაშებში ჩავარდებოდა, ლაკობა მოურბენინებდა.

ყველა ყურადღებით უსმენდა.

სტალინიმ სერიოზულად შენიშნა:

— თქვენ ტროცკის მოემსახურეთ, თან როგორც მეძებარი ძაღლი. ეს კომუნისტისთვის უღირსი საქციელია.

მიხეილ ლაკობა ანერვიულდა, თავის მართლება დაიწყო, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო — ნესტორ ლაკობამ ამგვარი გახუმრებით თავის ძმას კომბალი ჩაარტყა თავში.

სტალინიმ განაგრძო:

— თქვენ იცით, როცა ტროცკი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა საბჭოთა კავშირი, წინასწარ თურქეთში გააგზავნა ასეთი დეპუტა: „ანკარა, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ქამალ შამს. ნება დამრთეთ შემოვიდე თქვენს ტერიტორიაზე საბჭოეთის ძალდატანების გამო“. პასუხი ასეთი მიიღო: „მოსკოვი, კრემლი, ტროცკის. თუ თქვენ ჩემი ტერიტორია საბჭოთა ტერიტორიაზე უფრო მოგწონთ, ამ შემთხვევაში წინააღმდეგი არ ვარ. თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ქამალ შამს. ტროცკიმ უპასუხა — კიო. გაემგზავრა იქ, საიდანაც ჩამოვიდა. გზაც იქით ჰქონია! ამის შემდეგ ნესტორ ლაკობა სერგო ორჯონიძის სადღეგრძელოს წარმოთქვამს. სტალინიმ აიღო პატარა ჭიქა და თქვა:

— სერგოს გაუმარჯოს! ღირსია შეგსვათ მისი სადღეგრძელო.

ნამიც არ იყო გასული, რომ სტალინი აიღებს ცარიელ ჭიქას, ვითომ ვერ შენიშნავს, რომ სასმისში ღვინო არ ახსია და იტყვის:

— გაუმარჯოს მამულიას. მამულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო.

ყველა სახტად დარჩა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

(დასრულებულია) შვიდედ ნოზარი



ბასეირნება კატარლით



„რდილოატლანტიკური ბლოკი „მონინავი ბაზირებისთვის“ ახალ-ახალ ადგილებს პოულობს ბალტიის ქვეყნებში, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ალიანსის 200-ზე მეტმა ეკიპაჟმა კი უკვე შეიძინა ფრენის უნარ-ჩვევები ბალტიისპირეთის ტერიტორიის თავზე და ბალტიის ზღვის აკვატორიაში“.

„კონკურენციის გამწვავება ძალის მსოფლიო ცენტრებს შორის გაურკვევლობის ფაქტორების გაძლიერებით, არასტაბილურობისა და ძალადობის ფაქტები პლანეტის სხვადასხვა რეგიონში, კონფლიქტური პოტენციალის ზრდა რუსეთის მეზობელ ტერიტორიებზე“ — ასე დაახასიათა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ საერთაშორისო ვითარება თავდაცვის სამინისტროს კოლეგიაზე.

„2-ჯერ და მეტად გაიზარდა მასშტაბები და ინტენსივობა სწავლებებისა, რომლებშიც სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ნატოს არანევრი უკრაინა და საქართველო. მსგავსი ქმედებები ანგრევს უსაფრთხოების არსებულ სისტემას მსოფლიოში“ — განაცხადა სერგეი შოიგუმ.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკი „მონინავი ბაზირებისთვის“ ახალ-ახალ ადგილებს პოულობს ბალტიის ქვეყნებში, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში, ალიანსის 200-ზე მეტმა ეკიპაჟმა კი უკვე შეიძინა ფრენის უნარ-ჩვევები ბალტიისპირეთის ტერიტორიის თავზე და ბალტიის ზღვის აკვატორიაში.

„ასეთ ვითარებაში იძულებულნი ვართ, ადეკვატური რეაქცია გვქონდეს, შევუთავსოთ სტრატეგიული შეკავების ღონისძიებები შენარტების საბრძოლო შესაძლებლობების გეგმურ მატებას“ —

აღნიშნა მინისტრმა. კოლეგიაზე ითქვა, რომ უახლოეს ხანში სამხედრო ნაწილები მიიღებენ ახალი და მოდერნიზებული ტექნიკის 1200 ერთეულს, შედეგად ამ ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობები 1,3-ჯერ მოიმატებს.

წლეულს უკრაინის ახლოს ჩატარდება 3079 ღონისძიება და სწავლება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ კოლექტიური უსფრთხოების შესახებ შეთანხმების ორგანიზაციის (ე.წ. ტაშკენტის პაქტი — საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია, რომლის წევრებიც არიან რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი — ნ.კ.) ოპერატიული რაბატირების ძალები, ხოლო შავი ზღვის აკვატორიაში —

იხტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა

რუსეთი სამხრეთის სფეროებს ახალი სარაკეტო ბრიგადით აქლიერებს

პასუხი რუსეთის სფეროებთან ნატოს მანევრებზე საქართველოსა და უკრაინის მონაწილეობით



ოლქი შიქინაა მოვილიზირებული ბაზლის უზრუნველყოფის ცენტრი.



„2-ჯერ და მეტად გაიზარდა მასშტაბები და ინტენსივობა სწავლებებისა, რომლებშიც სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ნატოს არანევრი უკრაინა და საქართველო. მსგავსი ქმედებები ანგრევს უსაფრთხოების არსებულ სისტემას მსოფლიოში“ — განაცხადა სერგეი შოიგუმ

კუბაზე პოლიტიკური სისტემა იხვლება



24 თებერვალს ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ კუბაზე პოლიტიკური რეფორმები იწყება. ამჟამად ძირითად კანონში წინანდელთან შედარებით 90 მუხლით მეტია. 35 მუხლი ეძღვნება ადამიანის უფლებებს, რაც ადრე არ ყოფილა.

კუბელებს არ უარუყვიათ სიტყვა „კომუნისმი“. იყო ასეთი იდეა კონსტიტუციის პროექტში, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, არ ეთქვათ უარი კომუნისმის ხსენებაზე.

ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ხდება ძალაუფლების გადანაწილება, რაც ადრე არ ყოფილა. ხელისუფლების 3 შტოს სხვადასხვა ადამიანი უხელმძღვანელებს. ვარაუდობენ, რომ 2021 წელს კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რაულ კასტრო დატოვებს პოსტს, ამის შემდეგ ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს მინისტრთა საბჭოს ამჟამინდელი მეთაური მიგელ დიას-კანელი.

ზოგიერთი რამე უცვლელი დარჩება. სახელმწიფოს მეთაურს, რო-

მელიც ამიერიდან იქნება პრეზიდენტი, კვლავ აირჩევს ნაციონალური ასამბლეა თავისი წევრებიდან და არა ხალხი. ამასთანავე, ნაციონალური ასამბლეასა და სახელმწიფო საბჭოს (ხელისუფლების უმაღლესი ორგანო) ერთი და იგივე ადამიანი უხელმძღვანელებს. ეს განამტკიცებს ნაციონალური ასამბლეის პოზიციებს.

ახალმა კონსტიტუციამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ახლა უკვე ოფიციალურად არის აღიარებული ფლობა კერძო საკუთრებისა, რომელიც, კონსტიტუციის თანახმად, ისეთივე კანონიერი იქნება, როგორც სახელმწიფო ან კორპორაციული საკუთრება. თუმცა კერძო საკუთრებას დამ-

ხმარეს როლი ექნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთანავე, კერძო საკუთრება შეიძლება იყოს როგორც ნაციონალური, ისე უცხოური. უცხოურ საკუთრებაზე კონსტიტუციაში წერია, რომ ის არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობა, ამიტომ განსაზღვრულია გარანტიები ექსპროპრიაციისგან დასაზღვევად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური კომპანიების შიშის გასაქარწყლებლად ინვესტიციის ჩადების მომენტში.

იცვლება, აგრეთვე, ტერიტორიული მმართველობა — სიმძიმის ცენტრი პროვინციებიდან გადაინაცვლებს მუნიციპალიტეტებზე. პროვინციებს ექნებათ მხოლოდ მკაცრი დინებები როლი. კუბაში აღინაშნა, ახალი ძირითადი კანონის მომზადებისას მათ გულდასმით შეისწავლეს ჩინეთისა და ვიეტნამის კონსტიტუციები, აგრეთვე, ვენესუელის, ნიკარაგუისა და ეკვადორის. „ის, რომ ჩინურ-ვიეტნამური მოდელი მათთვის საინტერესოა და იყენებენ კიდევ — აშკარა ფაქტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს ყველაფრის ბრმად გადმოღებას“, — ამბობენ ექსპერტები.

ახალი კონსტიტუციის დამტკიცებას მხარი დაუჭირა ქვეყნის მოსახლეობის 73%-მა. ახალი კონსტიტუცია ნაწილობრივ აღიარებს კერძო საკუთრებას. ითვალისწინებს პრეზიდენტისა და პრემიერმინისტრის თანამდებობების შემოღებას, უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე ყოფნა განსაზღვრულია 2 ვადით — ხუთ-ხუთი წლით. ამასთანავე, კუბა უარს არ ამბობს სოციალისტური ხასიათის სახელმწიფოზე და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლზე.

მოამზადა გიორგი ბაჩეილიაძემ

აშშ-ის ახალი სამხედრო სტრატეგია — არასასუკველი ხელისუფლების დახმობა «ფარადი ჩაქოლუხიების» და იარაღის გამოყენებით

პენტაგონმა დაიწყო შემუშავება სამხედრო მოქმედებების ახალი სტრატეგიისა „ტროას ცხენი“, რომლის არსიც არის მნიშვნელოვანი ობიექტებზე მაღალი სიზუსტის იარაღით დარტყმებთან ერთად „მეხუთე კოლონის“ საპროტესტო პოტენციალის აქტიური გამოყენება ვითარების დესტაბილიზაციისთვის. — განაცხადა რფ-ს შვიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა, თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, არმიის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა სამხედრო სტრატეგიის განვითარებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

„საბარეო პოლიტიკის აბრასიული ვექტორი“ გენშტაბის უფროსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აშშ-მა მოკავშირეებთან ერთად განსაზღვრა თავისი საგარეო პოლიტიკის აგრესიული ვექტორი. „ისინი ამუშავებენ მეტევეთი ხასიათის სამხედრო მოქმედებებს, ისეთს, როგორც არის „გლობალური დარტყმა“, და „მრავალფეროვანი ბრძოლა“. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ აშშ იყენებს „ფერადი რეველუციების“ ტექნოლოგიებს და ე.წ. რბილ ძალას. გერასიმოვმა მიუთითა, რომ ასეთი მოქმედებების მიზანი არის აშშ-სთვის მიუღებელ ქვეყნებში სახელმწიფოებრიობისთვის ძირის გამოთხრა და კანონიერად არჩეული სახელმწიფო ორგანოების შეცვლა.



ასეთი რამე უკვე მოხდა ერაყში, ლიბიაში, აგრეთვე, უკრაინაში. რფ-ს გენშტაბის უფროსის თქმით, ანალოგიური რამე ამჟამად ხდება ვენესუელაში.

მოამზადა გიორგი ბაჩეილიაძემ



რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელმა დიმიტრი მადვედევამ განაცხადა, რომ ქვეყანა მზად არის რუსეთისა და ბელარუსის სამოქალაქო სახელმწიფოს შიშის შიშისა და 1999 წლის შეთანხმების ყველა პუნქტის სარეალიზაციოდ. ამ პუნქტებს შორის არის ერთობლივი პალატიის შექმნა, ინტეგრაციის ასეთი დონე შეესაბამება რუსეთის სახელმწიფოს სტრუქტურას და საბაზისურ დონეზე უნდა იქნას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების დროს.

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკომ მხარი დაუჭირა ერთობლივი ვალუტის შემოღებას რუსეთთან სამოქალაქო სახელმწიფოს ფარგლებში. ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ ეს საკითხი ნინა პლანზე წამოიწია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკების დროს.

„მან რიტორიკულად მიიხილა: „მისმინე, რა თქმა უნდა, ეს იქნება რუბლი“. მე ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, რუბლი. ჩვენ რუბლი გვაქვს, თქვენც — რუბლი, რისთვის გამოვიგონოთ ტალერი. რუბლი — ეს იქნება არა რუსული რუბლი, არც ბელარუსული, არამედ ჩვენი საერთო რუბლი“.

ბელარუსის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ „მნიშვნელობა არ აქვს“, სად იქნება ერთობლივი ვალუტის საემისიო ცენტრი, „დაე, იყოს პიტერში“.

„რუსეთის პრეზიდენტის სამშობლო ჩემი საყვარელი ქალაქია — ლენინგრადი, ამჟამად პეტერბურგი. დაე, იქ იყოს“, — განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პასკოვმა, თავის მხრივ, უარს უთხრა განუცხადებელი ერთობლივი ვალუტის რუსეთისა და ბელარუსის გადასვლის საკითხში ჯერჯერობით კონკრეტული ღონისძიებები შემუშავებული არ არის, მაგრამ თემა აუცილებლად იქნება დეტალურად განხილული. მან დააზუსტა, რომ ეს ყველაფერი „ექსპერტთა საუბრების საგანია“, და ყვე-

ლას შეახსენა შესაბამისი სამუშაო ჯგუფების არსებობის შესახებ.

უფრო ადრე რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელმა დიმიტრი მადვედევამ განაცხადა, რომ ქვეყანა მზად არის რუსეთისა და ბელარუსის სამოქალაქო სახელმწიფოს შექმნის შესახებ 1999 წლის შეთანხმების ყველა პუნქტის სარეალიზაციოდ. ამ პუნქტებს შორის არის ერთობლივი საემისიო ცენტრის, ერთობლივი საბაზო სამსახურისა და სააღრიცხვო პალატის შექმნა. ინტეგრაციის ასეთი დონე შესაძლებლობას მისცემს ქვეყნებს, გააატარონ ერთობლივი საგადასახადო და სატარიფო პოლიტიკა, აგრეთვე, პოლიტიკა ფასნარმობის სფეროში.

სამოქალაქო სახელმწიფოს შექმნის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ერთობლივი ფულადი ერთეულის (ვალუტის) ეტაპობრივად შემოღებას საემისიო ცენტრთან ერთად. ბელარუსის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის რუსეთის ფედერაციასთან სამოქალაქო სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი ინიცია-

ბელარუსი და რუსეთი ერთობლივ ვალუტას ქვნიან



ტორია, და ხაზი გაუსვა, რომ ორმა მომხმე ქვეყანამ ერთად უნდა იცხოვროს. *რუსეთში მე მეძახიან ჩვენი კავშირის მთავარ ინიციატორს. ყოველთვის ვამბობდი რუსეთშიც და აქაც, რომ ჩვენ ასეთი ბედი გვაქვს — ვიცხოვროთ ერთად. *არანაირი მინიშნება, ყო-

ველ შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან, რომ რუსეთმა ბელარუსი უნდა მიიერთოს, არასოდეს მსმენია. ამის განწყობაც კი არ ყოფილა. ამ უზარმაზარ ქვეყანას არ აქვს განზრახვა, გადაეყაროს ბელარუსი. *გარანტირებთ, რომ პრეზიდენტის საგარეო არ მა-

ღელვებს. მეორე: გპირდები, რომ ჩემი შვილების გამო არ შევიწინარუნებ ძალაუფლებას და მას არ გადავცემ მემკვიდრეობით. არ მაქვს ასეთი მიზანი — მემკვიდრეობით გადავცე ძალაუფლება“. ბელარუსის ლიდერმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ მის არც ერთ ვაჟს არ სურს პრეზიდენ-

ტობა, რადგან ეს ძალიან მძიმე თანამდებობაა. *ჩემი და ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შემიძლია, არ წამოვაცინო ჩემი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. ახლა ასე ვფიქრობ, მაგრამ მერე შეიძლება რაღაც შეიცვალოს — ჯანმრთელობა, და კიდევ სხვა რამ. *პირადი ურთიერთობები ყოველთვის ახდენს გავლენას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებზე. *თავის დროზე ვინ გვასწავლიდა თავისუფლებას? — ევროკავშირი. იქ დემოკრატიის ბურჯი იყო საფრანგეთი. ვინ არბევდა „ყვირთელ ფილმებს“ ცოტა ხნის წინათ? ნუთუ ასეთ დემოკრატიას გრძობდით და ხედავდით საფრანგეთის მხრიდან? არა. აი თქვენ თავისუფლება. როგორც კი შეეხებოდა არა ხელისუფლების საფუძვლებს, არამედ მაკრონის ხელისუფლებას, რომლის გადადგომაც მოითხოვეს, მყისვე წამოვიდა ცრემლმდერი აირი, წყალმტყორცნები, რეზინის ტყვიები. აი თქვენ დემოკრატია“.

კიმი თაჰისას არ იზლის, ტრამპი უკლუჩია

27-28 თებერვალს ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში გაიმართა სამიტი — ამერიკის შეერთებული შტატები-კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. 27 თებერვალს ერთმანეთს შეხვედნენ ამ ორი ქვეყნის ლიდერები. შეხვედრა 2,5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. დონალდ ტრამპმა და კიმ ჩენ ინმა იმსჯელეს შეთანხმების შედეგებზე, რომელსაც მიაღწიეს გასული წლის ივნისში სინგაპურში გამართულ მოლაპარაკებებზე.

„აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა და კსდრ-ის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ჰანოის სამიტიზე, მაგრამ გამართეს კონსტრუქციული შეხვედრა“, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა და დასძინა, რომ მხარეებმა იმსჯელეს კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციის გზებზე და „ელოდებიან მომავალ შეხვედრებს“.

პრესკონფერენციაზე დონალდ ტრამპმაც დაადასტურა, რომ მოლაპარაკებები იყო „პროდუქტიული, თუმცა, მისი თქმით, აშშ-ს კსდრ-ის ახალი სამიტი შეიძლება კარგა ხანს არ გაიმართოს.

„ამის მიუხედავად, აშშ არ გეგმავს ფხენიანის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებას“, — განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ ვაშინგტონის წარმომადგენლებმა შეიძლება ჩაატარონ კსდრ-ის ბირთვული ობიექტების ინსპექცია, ამისთვის აშშ-ს აქვს ყველა საჭირო ტექნოლოგია.

კიმ ჩენ ინმა, თავის მხრივ, კვლავ დაადასტურა მზადყოფნა, კსდრ-ში ჩატარდეს დე-

ნუკლეარიზაცია და მიესალმა ამერიკელთა საკოორდინაციო ბიუროს გახსნას ფხენიანში.

შეხვედრა ჰანოიში დაგეგმილად დასრულდა. მხარეებს ერთობლივ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერიათ.

ბრიტანული გამოცემა The Sunday Times-ის ინფორმაციით, ჰანოიში აშშ-ს კსდრ-ს სამიტის ვადაზე ადრე დასრულების მიზნით იყო ამერიკელთა მოთხოვნა, კორეას დაეხურა ფხენიანთან არსებული ურანის გამამდიდრებელი საწარმო.

გამოცემა იმონებს ლონდონში კსდრ-ს საელჩოს ყოფილ თანამშრომელს თსუ ირე ჰოს, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ თავისუფალი მითლო სამხრეთ კორეაში, ჰოს აზრით, მხარეებმა ურანის გამამდიდრებელი საწარმოს გამო ვერ მოაწერეს ხელი შეთანხმებას.

ვაზეთი ვარაუდობს, რომ მოლაპარაკება ობიექტზე, რომელიც თითქოს განლაგებულია კსდრ-ს დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ქალაქ ჩხოლიმში, მდინარე ტედონგანის ნაპირზე. გამოცემის მონაცემებით,

Times: პანოს სამიტი ბირთვული სწავლის დასრულის მოთხოვნის გამო ვადაზე დასრულდა



მოლაპარაკებების მიმდინარეობისას აშშ-მა განაცხადა რომ მისთვის ცნობილია ამ საწარმოს შესახებ, და მოითხოვა მისი ლიკვიდაცია, მაგრამ, მას შემდეგ, რაც კსდრ-ს ლიდერმა კიმ ჩენ ინმა უარი განაცხადა, მოლაპარაკებები შეწყდა. ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აშშ-ში გაფრინდა, კიმ ჩენ ინმა კი განაცხადა ვიზიტი ვიეტნამში. The Sunday Times-ის მიმომხილველის აზრით, აშშ დიდი ხანია, ვარაუდობდა, რომ კსდრ-ში მუშაობდა ურანის გამამდიდრებელი კიდევ ერთი

საწარმო. ასეთი ქარხნის ადგილმდებარეობის შესახებ დასკვნა თანამგზავრის მიერ გადაღებული ფოტოების მიხედვით გააკეთეს ქალაქ მონტრეის (კალიფორნიის შტატი) მიდლბერის ბირთვული იარაღის გაუფრცხვლებლობის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის სპეციალისტებმა. სამიტის შემთხვევით პრესკონფერენციაზე ტრამპმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეას იონბენში ბირთვული ობიექტის ლიკვიდაციის სანაცვლოდ სურდა, ყველა სანქციების გაუქმებისთვის მიეღ-

ნა, მაგრამ აშშ-ს ასეთი ვითარება ხელს არ აძლევს. თავის მხრივ, კსდრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი ირე ჰოს განაცხადა, რომ ფხენიანში მოლაპარაკებებზე ამერიკელებს შესთავაზა სანქციების არა სრულად, არამედ მხოლოდ ნაწილობრივ გაუქმება. კსდრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა, აგრეთვე აღნიშნა, რომ სანქციების ნაწილობრივ გაუქმების სანაცვლოდ ჩრდილოეთ კორეამ აშშ-ს შესთავაზა იონბენში არსებული ყველა ბირთვული ობიექტის ლიკვიდაცია, ბირთვული და სარაკეტო ცდე-

ბის შეწყვეტა შესაბამისი წერილობითი გარანტიით. კსდრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, კსდრ-ს ეს პოზიცია არ შეიცვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ აშშ ახალ მოლაპარაკებებს შესთავაზებს.

საომარ მდგომარეობაში

1950-53 წლების ომის შემდეგ კსდრ და აშშ ფორმალურად საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მათ მხოლოდ დროებით ზავზე აქვთ ხელი მოწერილი. ქვეყნები ცდილობენ, მოლაპარაკონ კსდრ-ის დენუკლეარიზაციის ნაბიჯებზე, ურთიერთობის ნორმალიზებასა და ფხენიანის სანქციების მოხსნაზე. 2018 წლის ივნისში სინგაპურში გაიმართა ტრამპისა და კიმ ჩენ ინის პირველი შეხვედრა, რომლის შედეგად ხელი მოეწერა „დაწვრილებით“ დოკუმენტს. ამ დოკუმენტის მიხედვით, ვაშინგტონი ვალდებულია, უსაფრთხოების გარანტიები მისცეს კსდრ-ს, ფხენიანში კი, თავის მხრივ, დაადასტურა ერთგულება სრული დენუკლეარიზაციის მიმართ.

ჰანოიში ტრამპმა უარსაღივტებ განუცხადა, რომ ვაშინგტონი უარს არ იტყვის კსდრ-ის დენუკლეარიზაციის პირობაზე.

გვერდი მოაშუადა ბიორები განვილიაქამ

„ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. გვერი მებარი და გვერიც უვარების ძვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი ადგეოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესაა, ამისი საბუთი თვალ-წინა გვაქვს“.

თუ წინათ ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლება, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის ნაწერების სრული კრებულის მე-5 ტომი გამოვიდა, მკვლევარს სრული საშუალება მიეცა, ეს საკითხი უკვე ვრცლად და ბევრი სხვა მისი ნაშრომის მიხედვითაც განეხილა. მე მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგონის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქართველოს ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული. ამიტომაც ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამოსარკვევად იმ წვლილის ცხად-საყოფელად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არც გამოიყენება. უამისოდაც ეს-ლა საკმაოდ მრავალფეროვანი მასალა მოგვეპოვება, რომ ზემოდასახული ამოცანის განხორციელება შევძლოთ. სრულებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მიზნის მისაღწევად ჯერ ილია ჭავჭავაძის ზოგადი კონცეფციის განხილვით დავიწყოთ, ხოლო შემდეგ უკვე მისი მეთოდოლოგიის განხილვაზე გადავიდეთ.

ილიას არა ერთხელ, მაგ., თუნდაც 1888 წელს, უთქვამს: „როგორც კაცად არ იხსენიება ის მანანადა“, რომელსაც, „ალარ ახსოვს, ვინ არის, საი-დამ მოდის და სად მიდის, ისე ვერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც... თავისი ისტორია არ ახსოვს“-ო (V, 207). 1888 წელს, დ. ბაქრაძის ნაშრომის „ისტორია საქართველოს“-ს პროგრამის გამოქვეყნების შემდგომ, ამავე საკითხს ჩვენი მგონის კვლავ უბრუნდება და ამბობს: წინათაც არა ერთი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც თავისი ისტორია არ ჰქონია და „ამისთანა ხალხი უბინაო კაცებს ვაძვს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვითა და იმდენა ბევრით უკანადაც ჩამოვარდება“. ჩვენი მგონის სიტყვით, „უღმრთელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს უსაღებლად დროში“-ო (V, 240). „თუ ესეთი არა, ბევრით მათი ალარ არის იგი იერი, რომელსაც ისტორია დაუბინა და იგი ისტორია დაუბინა; ალარც ამისთანა ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფაქი არსებობისათვის საჭირო“-ო (V, 240).

ილია ჭავჭავაძე მაგ. 1888 წ. წერდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიის ცხოვრებით. ბევრი მგარი და ბევრიც უვარების ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი ადგეოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესაა, ამისი საბუთი თვალ-წინა გვაქვს. რა შეგვიანავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათასი წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს ნალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოვარჩენდა ასე უწყლოდ სხვა ქვეყნებსა და განათლებას, ან გამდიდრებაში თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მგარი ქვასთან ერთად უვარების და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას. რომელია სიმარე ჩვენის ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვიხატავს ხოლმე მარტო ისტორია. და თუ იგი დავივიწყებთ, მაშ — დაგვაგინებენ ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ესეა, რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი ანშეო, ჩვენი მერმისი?“-ო (V, 241-242).

ამიტომაც არის, რომ ილია ამბობდა: „არ ვიცი, სხვა რომორ ფიქროს და ჩვენ კი ასე გვემონა, რომ ერის დაცვა და ბათასიანობა მათზე იწყება, რაცა იერი, თავის საუბადუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“-ო (V, 207). ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა რწმენით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დებულება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული.

როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგვეგოდ წარმოებული კვლევა-ძიება ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იწყობს ხოლმე ასე. პირველი დამალონებელი თავისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორე კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მანებელი იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ მინა-არსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იან წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგვეგოდ, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა, ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია

რემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მანებელი იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ მინა-არსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც. ჩვენში წარსული საუკუნის 90-იან წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგვეგოდ, შემთხვევითი ხასიათის ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა. აი, მაგალითად, რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე 1880 წ.: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუშუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტიკუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა, ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის



ლება არ მიეცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგონსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუწებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა. ვინც ილია ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგადს საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი. სწორედ ეს მიზანი გვაქვს ჩვენ ამ ჩვენს მოხსენებაში დასახული.

ნაღვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილია ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ, რაკი «უწულა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაბეზა ამ ტკივილისა სვედრია მარტო რინებულ კახეზისა», ამიტომაც «ქაუბარიტი მისტორიკი, ვითარცა გაჰიითხველი, ჯერ იმ დროების ქაჩქი უნდა ჩაჯდეს და მერა ბანიკითოსო თვით დროების შვილისა»

მონანილობასა ისტორიაში. ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა საქმეთა“-ო (V, 241).

მოწყენებით მსჯელობდა: ამ თავის წერილებში, ვითომც სწორედ ამ ორი მძლავრი მეთოდით აღჭურვილმა, საქართველოს ისტორიაც განიხილა და, მისი წარსულის შეფასებაც შემდგომ, თავისი მსჯავრიც დასდო. მაგრამ საფუძვლიანი, დინჯი კვლევა-ძიების მაგიერ, ივ. ჯაბადარის წერილებში სწორედ ისეთი სქემატიზმი აღმოჩნდა, რომელიც, ავტორის სრული მოუშადადებლობის გამო, მთლიანად მცდარი გამოდგა. ამისდა მიუხედავად, მაინც, ვითარცა თითქოს ისტორიის უმადლესი და მკვეთრი მეთოდებით მომარჯვებული ადამიანის ნამუშევარსა და ნასიბძმს, ქართული საისტორიო წყაროების უცოდინარსა და გამოუცდელს ჩვეულებრივ მკითხველზე ივ. ჯაბადარის კადეგორიულს დასკვნებს ებრუნება მთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო. ხოლო, რამდენადაც მთელი მისი მსჯელობა თავაშვებული ნიპოლისტური მსოფლმხედველობით

იყო გამსჭვალული, იგი მკითხველს დიდს ვნებას მოუტანდა. ამიტომაც ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილველად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართველ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართული საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის ნაშრომი ვრცლად განიხილა და განხილვის საშუალება არ მიეცა. თუ როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

ივ. ჯაბადარის უკვე ძირითადი რწმენა სქემატიზმისა და მონური მიმბაძველობის გამამუჭავნებელი იყო. იგი დრეპერის ოდესლაც გავრცელებულს აზრს ემყარებოდა, ვითომც ყოველ ერს, თავისი ბავშვობისა, ყრმობისა და ქაბუკობის შემდგომ, აუცილებლად სიბერე ენეოდეს ხოლმე. ამიტომ იყო, რომ ჯაბადარს ერთს თავის წერილთაგანში ნათქვამი ჰქონდა: მართლალი, თუ არა, რომ თარბილი იერი უკვე მოხუცავულია და ღონე გაჰმოილია, თუ მას ჯერ კიდევ სრული ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყია და თავისი კალ-ღონე მერმისისათვის ინტენსიური ცხოვრება არც კი დაუწყიაო. ილია ჭავჭავაძე ამ მცდარსა და ასე უცნაურად გამოთქმულ დებულებას სასტიკად შეებრძოლა. იგი ირონიულად ამბობდა: „ავტორი (ი. ი. ჯაბადარი) მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიური ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვიანავს მერმისისათვის“-ო (V, 8). ასეთი რამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც სწამდა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცდის ერსა, ე. ი. ასუსტებს, აუპლურებს, ხოლო „არა-ინტენსიური ცხოვრება კი ანახვიანებს ღონეს მერმისისათვის“-ო (V, 8). ამაზე ილია ჭავჭავაძე სამართლიანად წერდა: „დღეს აქამომდე გვეგონა, რომ სხვა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი-კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა“-ო (V, 9). აქეთგან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ „ბედნიერი იერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აწყობია, მისგან არ გაბრწყინებულა და ღონე შუანახვს მერმისისათვის“-ო (V, 9).



ინტენსიური ცხოვრება ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლოვით შენეზულა, აბეზულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ.

ილია ჭავჭავაძის ეს მოძღვრება სლავიანო-ფილუმის მსოფლმხედველობის ანარეკლად მიაჩნდა: „ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მართო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულა“ (V, 11).

ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ ამ მოძღვრებას თავისი შემდეგი მსჯელობა და რწმენა დაუპირისპირა: **ინტენსიური ცხოვრება ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლოვით შენეზულა, აბეზულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისათვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ.**

ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედი“ (V, 9). „ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კი ნუგეშია, კაცმა პურს აღარა ჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოსრობისთვის-ღაა საჭირო, რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავე ინტენსიურ ცხოვრებისთვის. თუ ასეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს“ (V, 9-10).

ასეთ სქემატიზმსა და გაზეპირებულ აზრებს ილ. ჭავჭავაძემ სულ სხვანაირი შეგნება დაუპირისპირა. მაგრამ ილია ჭავჭავაძე ასეთ აკვირებულ აზრს რომ წინაღუდგა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ისტორიის ღრმად გაშუქება არ ენატურებოდა. მისთვისაც ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოძრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც, ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე.ი. სოციალ-ეკონომიურსა და კულტურის პრობლემებს უნდა მიჰქცევია.

ილ. ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციით, კაცობრიობის პროგრესის სათავე შეიქმნება ის წყურველი და ნიჭია, რომელიც წინათ ზოგჯერ ისეთს დარგში და იმ სახითაც იჩენდა ხოლმე თავს, რომელიც თანამედროვე შეხედულებას უკვე ვეღარ აკმაყოფილებს, მაგრამ, ისტორიკოსს უნდა ესმოდეს, რომ მაშინ **„დრო იყო ამისთანა“**. აი თუნდაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, ტაძრებისა და მონასტრების ნაგებობანი რომ ავიღოთ, რომელსაც ყურადღების ღირსად არ სთვლიდა და საძრახისადაც კი მიაჩნდა მათ ამგებელთათვის იგ. ჯაბადარს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ეკლესიები და ტაძრებია. ილია ასეთ მსჯელობის საწინააღმდეგოდ ამბობდა: „ჩვენ რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას საბერძნეთისა და რომისთანა მნიშვნელობას არ ვაძლევთ“ (V, 11), „მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო,

როცა, თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით, — წყურველს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურველია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს წყურველია და სხვა არა რა“ (V, 67).


ნამდვილი ისტორიკოსის მოვალეობა, ილ. ჭავჭავაძის რწმენით, იმაში მდგომარეობს, რომ, რაკი „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა“, ამიტომაც **„ჭაჭავაძის მიხედვით, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქართული უნდა ჩავხედოთ და მერე განვიხილოთ თვით დროების სპილენძი“**. ეს რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვებს, ვერც აზრს, თუნდაც მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა“ (V, 66). აქვე ჩვენი ავტორი სამართლიანად უმატებს: „ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა“ (V, 66).

საისტორიო მეცნიერებაში ამას ისტორიული პერსპექტივის აუცილებლობა ეწოდება და მართლაც, ცხადია, რომ უამისოდ წარსულის არც ერთ შეფასებას ღირებულება არ ექმნება.

თუ რა გარემოებას აქვეყნდა ილ. ჭავჭავაძე ისტორიული პროცესის დროს და რა საფუძვლის გამოკვეთა მიჩნდა საჭიროდ მოვლენათა გასაგებად, ამას მისი ერთი საყურადღებო წერილი გვაგვბინებს.

1880 წელს დაბეჭდილ წერილში ილ. ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წარსულში „არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავინ უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალის დაუკვირვებია“ (V, 201). ყველამ იცის, რომ ჩვენი ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმკვლევებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყო ზედმიყოლებით და გაუწყვეტილივ ასი წელიწადი მაინც ერთად“. თითქმის მთელი თავისი ისტორიული არსებობის დროს საქართველო „იარაღით ხელში იდგა“, რადგან „მტერი თითქმის ყოველმხრივად მოწოდებული იყო“ (V, 202). ყველანი აქ მხოლოდ გულდადობითა და გრძნობით იყვნენ აღტაცებული, მაგრამ არავის ფიქრად არ მოსვლია, ამ საგულისხმო მოვლენას ღრმად ჩაჰკვირვებოდა. ილ. ჭავჭავაძე კი აქაც საქართველოს ისტორიას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა და საჭიროდ სცნო, სულ სხვა მხრით გაეშუქებინა.

„ვთქვით, მკლავმა და გულ-



«არ ვიხიო, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ეს გვგონია, რომ ერის დასება და გათხსნილება გუონი იწყება, როცა ერი, თავის საუბედროდ, თავის ისტორიას ივიწყებს». ამგვარად, ილ. ჭავჭავაძის ღრმა ჩნებით, ყოველმა კულტურულმა ერმა თავისი წარსული კარგად და სრული შეგნებით უნდა იცოდეს. ქართველებსაც, თუ წარმატებული არსებობა სურდათ, ეს დაეხმარება უნდა კარგად ჰქონოდათ შეგნებული

მა შესძლო ეს გოლიათობა“ (V, 202). ნათქვამი აქვს მას ჯერ კიდევ ამ ნახევარი საუკუნის წინათ, ეს კიდევ თუნდაც არაფერი იყო, უმთავრესად „საკვირველი ეს არის, — რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰქვებოდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, — და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“, კითხვობდა ჩვენი დიდებულ მგოსანი და პირველი ქართველი პუბლიცისტი (V, 202).

როგორც ხედავთ, **საძარ-თველოს ისტორიის ასეთს გაუშუქებდა ილ. ჭავჭავაძის პირველი და უკეთესი ნაშრომია, რომ ამის პასუხის გაცემა უნდა მოხდეს, რომ საბუთად ვისმართო უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ ამის პასუხის გაცემა უნდა მოხდეს, რომ საბუთად ვისმართო უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ ამის პასუხის გაცემა უნდა მოხდეს, რომ საბუთად ვისმართო უეჭველის დასკვნისათვის.**

თველოს ისტორიოგრაფიას მის დროს არამცთუ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაშუქება აზრად-ც-კი არ მოსვლია, ის მაშინ იმდენად უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ, ასეთი საკითხის წამოყენების შემდგომაც, პასუხის გაცემა ვერავინ შესძლო. ილია ჭავჭავაძემ ეს გაერმოება, ეს უმწეობა თითონაც კარგად იცოდა და ამიტომაც იქვე დამატებული აქვს: „ყოველს ამა საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფერს შეგვიწყობს, ერთს იმისთანავე არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვისმართო უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოდეთ, რომ ამის პასუხის გაცემა უნდა მოხდეს, რომ საბუთად ვისმართო უეჭველის დასკვნისათვის.“

დენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“ (V, 202).

ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძის სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხიან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: **„აი, საბანი ღირსისაწინაშე მინიშნებისა, ამ საბან-ჯად რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, გავრცელოთ მისი მგობობა, რომელიც არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“ (V, 204)** და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის შემომოყენებული განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა.

რაკი ეხლა უკვე ვიცით ილია ჭავჭავაძის ზოგადი თვალსაზრისის ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაზე, საინტერესოა გაგვეგო. საქართველოს ისტორიის კიდევ რომელი საკითხები იმყოფება მის ყურადღებას.

დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შეესდგომოდით, ამისთვის არც მომზადება გვაქვს, არც საჭირო წყარო“ (V, 203-204). იმ ეკონომიურ საფუძველად, რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან მრავალჯერად ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა, ილია ჭავჭავაძის მინისმფლობელობის წესი მიაჩნდა. მისი სიტყვით, „ჩვენს ეკონომიურს“ წყობაში ორგანიზაციული დინამიკა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სასოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, — საზოგადო, სასოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო, თუ საკომლო ფეხს ვაიდგამდა და გავრცელებოდა, მაშინ განსაკუთრებას მინისა და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მინისმფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა. და თუ სასოფლო გაძლიერდებოდა მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვრებოდა. აქედამ ცხადია, ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ. როგორც ეტყობა, უფრთხილდებოდნენ კიდევ, თუ არ მეფენი, თითონ ხალხი მაინცა. ეს იქიდანაა სწინა“ (V, 203-204).

საქმე ის კი არ არის, სწორეა თუ არა თვით ილ. ჭავჭავაძის შემომოყენებული განმარტება. აქ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ მან ჯერ კიდევ 1880 წ. აღიარა ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობა. რაკი ეხლა უკვე ვიცით ილია ჭავჭავაძის ზოგადი თვალსაზრისის ისტორიისა და ისტორიკოსის უპირველესი მოვალეობაზე, საინტერესოა გაგვეგო. საქართველოს ისტორიის კიდევ რომელი საკითხები იმყოფება მის ყურადღებას.

დენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში“ (V, 202).

ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძის სრულებით სამართლიანად საქართველოს ისტორიის პირველხარისხიან ამოცანად აქვს აღიარებული. ის ამბობს: **„აი, საბანი ღირსისაწინაშე მინიშნებისა, ამ საბან-ჯად რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, გავრცელოთ მისი მგობობა, რომელიც არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“ (V, 204)** და, როგორც ეტყობა, საქართველოს მერმინდელი პოლიტიკური დასუსტების ერთ მთავარ მიზეზთაგანად ჩვენ მგოსანს სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ყოველ ერს თავისი გამოჩენილი მოღვაწეები უნდა ახსოვდეს, რადგან „ერი თავის გიქაბუი კოოლოცს თავის სულსა და გულს, თავის მწკრთნელს, თავის ღონესა და შეიქმნება, თავის ხატსა და გაგალიტს“



ახალი მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლოებით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურიტ, მკვლელობით, შუღლიტ, ვერაბობით, უხანოზითა და მახუზლარობით. ცილისმნამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხყოფელნი, ამპარტავენნი, მკვეხარნი, ბოროტბამზრახველნი, მშობლავის შრჩნი.

(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)



კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი გავლენიანი კარდინალი კედოფილიაში ამხილეს

მელბურნის სასამართლომ ავსტრალიის კარდინალ ჯორჯ პელის დაუმტკიცა არასრულწლოვანებთან სექსუალური ურთიერთობის ფაქტები, — წერს The Guardian. რომის პაპ ფრანცისკეს გახრწილების ამ ფაქტზე ოფიციალური განცხადება არ გაუქვეთებია, თუმცა ჯერ კიდევ მარშან, დეკემბერში, სამართალში მიცემული ეს ვაიდეოსმასახური და კიდევ ორი კარდინალი პონტიფიკის მრჩეველთა სი-

დან ამოშალეს. პელის გარყვნილ ქმედებას ადგილი ჰქონდა 1996-1997 წლებში. მან პირველი დანაშაული ჩაიდინა მელბურნის არქივის კოპოსად დანიშნვიდან რამდენიმე თვეში. 2014 წლიდან 2018 წლამდე ეს კარდინალი წმინდა ტახტის ეკონომიკური საქმეების სამდივნოს განაგებდა და სარგებლობდა მნიშვნელოვანი გავლენით, როგორც პაპის მრჩეველი.

69 წლის მამაკაცს 22 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

ინგლისის ქალაქ ლინკოლნში (აღმოსავლეთ მიდლენდის ლინკოლნშირის საგრაფოს ადმინისტრაციული ცენტრი) ბაბუა თავის შვილიშვილ გოგონას წლების განმავლობაში აუპატიურებდა და მეძავად გაზარდა; აიძულებდა პედოფილებთან კავშირის დამყარებას დადგენილი ტაქსის საფასურად.



იზამ 200 კაცის ხელში გაიარა, დაავადებული იყო ვენერიული სნეულებებით. ემა ლუიზამ თავისი უბედურების ამბავი ჟურნალისტებს გაანდო. ყროლი ბაბუა კარლ ბარკერი სასამართლოს განაჩენით 22-წლიან სასჯელს იხდის.



ქაღლის კოსტიუმში გამოიყვანეს და საკუთარი ქაღლი გააუპატიურა

უზნეობის ამ ნაკრებს ზოოფილი აკლდა და ინებეთ ისიც — ფლორიდის (აშშ) შტატში მცხოვრები 21 წლის პრინსტინ სტიუარტ ოსკარ ნიქოლსი. ამ „ღირსშესანიშნავი“ შემთხვევის შესახებ წერს ბრიტანული ტაბ-

ლოიდი Daily Star. ვისაც ცხოველებთან სიამტკბილობის დეტალები გაინტერესებთ, მიმართეთ „დეილი სთარს“, რომელიც დეტალურად აღწერს ამ გულიანარევე შემთხვევას. ჩვენ კი აქ დავსვამთ წერტილს.

ნეოლიბერალური უნაყოფო

მაიკლ ჯექსონმა 80-იანებში გოგონა გააუპატიურა

მრავალი წელია, რაც მაიკლ ჯექსონს პედოფილობას აბრლებენ. გარდაცვალების შემდეგ მისი გახრწილი ქცევის ფაქტები კვლავ მატულობს. რამდენიმე დღის წინათ გაირკვა, რომ მომღერლის მცირეწლოვან მსხვერპლთა შორის იყო ერთი 13 წლის გოგონაც.



ადვოკატი ვინს ფანალდი აცხადებს, რომ ეს გოგონა ნამდვილი „ბიჭუშკა“ იყო, ბიჭურად იცვამდა და თმაც ბიჭურად ჰქონდა შეკრეჭილი. ეტყობა, ამიტომაც მიიქცია პოპვარსკვლავის ყურადღება. ძალადობის შემდეგ მომღერალმა მას უდიდესი საკომპენსაციო თანხა გადაუხადა. „მე მაქვს ჯექსონის მუსიკალური კომპანიის ქვითრების ასლები, რომლებზეც მას პირადად აქვს ხელი მოწერილი, — აცხადებს ადვოკატი, — უეჭველია, რომ დაზარალებული მართალს ამბობს.“

დღეს ის პატარა გოგონა ორმოცდაათ წელიწადს გადაცილებული ქალია. იგი უფლებადამცველს დაუკავშირდა დოკუმენტური ფილმ „ნეფერლენდთან დაშორების“ გამო ამტყდარი სკანდალის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ ეს სურათი, რომელსაც კრიტიკოსებმა საშინელებათა ფილმი უწოდეს, დეტალურად წარმოგვიდგინს მაიკლის მქირდავ დამოკიდებულებას თავისი „პატარა მეგობრების“ მიმართ. ფილმი აგებულია მოცეკვავეების — უეიდ რობსონისა და ვეიმს სებჩაკის ჩვენებებზე. კალიფორნიის შტატის კანონმდებლობით დაზარალებულებმა შეიძლება მიმართონ სასამართლოს მიყენებული მორალური და ფიზიკური საგაზეთო წერილები.

ად, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი დანატოვარი ქონებით. ეს ქონება მარშან 400 მილიონი დოლარით გაიზარდა. „ვფიქრობ, მსხვერპლთა რაოდენობა გაცილებით მეტია, — აცხადებს ადვოკატი ფინალდი, რომელიც რობსონისა და სებჩაკის ინტერესების დამცველია, — ეჭვი არ მეპარება, რომ მაიკლ ჯექსონი იყო

პედოფილი და სერიული სექსმატაცებელი ცხოველი“. „პოპმუსიკის მეფე“ 2009 წელს 50 წლისა გარდაიცვალა. იგი კატეგორიულად უარყოფდა ბავშვებისადმი სასტიკ დამოკიდებულებას. 2005 წელს მას წაუყენეს 13 წლის ბიჭის მიმართ ძალადობის განხორციელების მცდელობის ბრალდება, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს და გაამართლეს.

«გეულეგულ» მამათმავლებს კალაძობაში დასდეს ბრალი

საოპერო ვარსკვლავი დევიდ დენიელსი და მისი „ქმარი“, დირიჟორი სკოტ უოლტერი ორი კვირის წინათ დააპატიმრეს მიჩიგანის შტატის ქალაქ ენ-არბორში. პომოსექსუალურ წყვილს ბრალი დასდეს ორი ახალგაზრდა მომღერლის მიმართ სექსუალური სიბილნის განხორციელების მცდელობის გამო.



დევიდ დენიელსი ცნობილი კონტრტენორია, მსოფლიოში სახელგანთქმულ სცენებზე გამოდიოდა. მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორია ენ-არბორში, სადაც 2015 წლიდან კითხულობს ლექციებს. შარშან ორმა ახალგაზრდა

მამაკაცმა გაუპატიურებაში დასდო ბრალი. მომღერალთაგან ერთმა — ბარიტონმა სემიულ შულცმა შარშან, აგვისტოში განაცხადა, რომ დენიელსმა თავის „ქმართან“ ერთად ის გააბრუნეს ნარკოტიკით და გააუპატიურეს. ეს ფაქტი

2010 წელს მოხდა. იმ დროს შულცი 23 წლისა იყო, ჰიუსტონში რაისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლებდა. იმ საღამოს გამართული წვეულების შემდეგ მას ალარაფერი ახსოვდა, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა და სისხლდენას უჩიოდა. იმავე წელს, ორი თვის შემდეგ, განცხადება გააკეთა კონტრტენორმა ენდრიუ ლიპინამ — დენიელსის ყოფილმა მოსწავლემ და თქვა იგივე,

რაც კოლეგა შულცმა, რომ „დამრიგებელმა“ გააბრუნა და გააუპატიურა. დენიელსისა და უოლტერის ადვოკატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ნათქვამია, რომ დევიდი და სკოტი უდანაშაულონი არიან. მამათმავლების წყვილი დაპატიმრებულია და ცალ-ცალკე საკანებში არიან მოთავსებული. ისინი ელოდებიან ტეტრტენორმა ენდრიუ ლიპინის სასამართლოს წინაშე წარდგენას.



ტელეწარმანი სქეს და ნაკოტიკებს შეენიკა

აშშ-ში პოპულარული ტელეწარმანი ქრისტოფერ ბეროუზი, რომელიც ნარკოტიკით იყო გაბრუნებული, მამაკაცთან სექსის დროს გარდაიცვალა. ეს მოხდა 2018 წლის დეკემბერში, — იუწყება Fox News. ბეროუზი კალიფორნიის KTLA ტელეარხზე ახალი ამბების წამყვანად მუშაობდა. მისი პარტნიორი მამაკაცი, რომელიც ცდილობდა სასწრაფო დახმარების ექიმების მოსვლამდე გონებადაკარგული ჟურნალისტის მოსულიერებას, ვერაფერს გახდა. ბეროუზს დარჩა ცოლი და ცხრა წლის გოგონა.



კონტინენტის „ლიდერთა“ შორის არის, აგრეთვე, სერბეთი (5076 დაავადებული), საფრანგეთი (2913) და იტალია (2517). რუსეთში დაავადების შემთხვევების რაოდენობა რამდენჯერმე ნაკლებია: 17,3 შემთხვევა 1 მილიონ მოსახლეზე; საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 44,7-ია; საბერძნეთში — 196,8; ჩინეთში — 322,6; საქართველოში — 563,8; უკრაინაში კი კომპარული ვითარება — 1209,25 შემთხვევა მილიონ ადამიანზე.

მსოფლიოს წითელა უბავს

რატომ ლიდერებს უკრაინა წითელას შემთხვევათა რაოდენობით და რა ვითარებაა საქართველოში

წითელათი დაავადების შესახებ ცნობები, ფაქტობრივად, ყოველდღიურად მოდის. ინფორმაციას ავრცელებს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. ფილიპინებზე ეპიდემიის შედეგად დაავადდა 12 ათასი ადამიანი, დაიღუპა — 203. მადაგასკარზე 2018 წლის ოქტომბერში აღრიცხეს წითელათი დაავადებული 69 ათასი ადამიანი, დაიღუპა — 550-ზე მეტი.



2018 წელს ევროპაში წითელათი დაავადდა სამჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე 2017 წელს, და 15-ჯერ მეტი, ვიდრე 2016 წელს — 82 ათასი ადამიანი 47 ქვეყანაში (53-დან), დაიღუპა — 72. მძიმე მდგომარეობაა უკრაინაში: იქ 2018 წელს წითელათი დაავადებული 53 ათასი ადამიანი აღრიცხეს. ოფიციალურად რეგისტრირებულია 16 ლეტალური შემთხვევა. ამასთანავე, ვითარება სწრაფად უარესდება. ოფიციალური მონაცემებით, 28 დეკემბრიდან 22 თებერვლამდე, ე.ი., ორ თვეზე ნაკლებ დროში დაავადდა 24 ათასი ადამიანი, გარდაიცვალა — 9.

სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. რაც შეეხება დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებს, ინფიცირებულთა 8 პროცენტი 0-დან 1 წლამდეა, 14% კი — 1-დან 3 წლამდე, — განაცხადა დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ. და ეს მონაცემები იზრდება, რადგან საქართველოს მოსახლეობის

2018 წელს ევროპაში წითელათი დაავადდა სამჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე 2017 წელს, და 15-ჯერ მეტი, ვიდრე 2016 წელს — 82 ათასი ადამიანი 47 ქვეყანაში (53-დან), დაიღუპა — 72. მძიმე მდგომარეობაა უკრაინაში: იქ 2018 წელს წითელათი დაავადებული 53 ათასი ადამიანი აღრიცხეს. ოფიციალურად რეგისტრირებულია 16 ლეტალური შემთხვევა. ამასთანავე, ვითარება სწრაფად უარესდება. ოფიციალური მონაცემებით, 28 დეკემბრიდან 22 თებერვლამდე, ე.ი., ორ თვეზე ნაკლებ დროში დაავადდა 24 ათასი ადამიანი, გარდაიცვალა — 9.



სახელობრივ, დასავლეთი დაავადების გავრცელებაში უკრაინას ადამიანთა უმრავლესობა უკრაინაში წითელას გავრცელების შედეგად ევროპაში დაავადებულთა რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა — ამ სათაურით დაიბეჭდა სტატია მრავალტირაჟიანი სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ Science-ში. პოლონელები შემოთავაზებულნი არიან, რადგან გეოგრაფიულად ესაზღვრებიან უკრაინას. 2018 წელს პოლონეთში 339 ადამიანი დაავადდა, უმრავლესობა — ნოემბერსა და დეკემბერში. იანვრიდან კი უკვე რეგისტრირებულია 380 შემთხვევა, ანუ ორ თვეში იმაზე მეტი, ვიდრე შარშან.

რამდენიმე დღის წინათ რუსეთმა წითელას 100 ათასი ვაქცინა უსასყიდლოდ გადასცა ბელარუსს, სადაც ვითარება ნორმალურია, მაგრამ რესპუბლიკა რისკის ზონაშია უკრაინასთან მეზობლობის გამო.

კონტინენტის „ლიდერთა“ შორის არის, აგრეთვე, სერბეთი (5076 დაავადებული), საფრანგეთი (2913) და იტალია (2517). რუსეთში დაავადების შემთხვევების რაოდენობა რამდენჯერმე ნაკლებია: 17,3 შემთხვევა 1 მილიონ მოსახლეზე; საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 44,7-ია; საბერძნეთში — 196,8; ჩინეთში — 322,6; საქართველოში — 563,8; უკრაინაში კი კომპარული ვითარება — 1209,25 შემთხვევა მილიონ ადამიანზე.

მსოფლიო წითელას მასშტაბურ დაბრუნებას შეაჯახა მოქმედი, როცა მისი სრული ლიკვიდაცია იკავებოდა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2020 წლისთვის

დაავადებას იწვევს. როგორც ჩანს, მსოფლიოს დაავადდა პერიოდები, როდესაც წითელა ბავშვთა მოკვდავობის მთავარი მიზეზი იყო. შედეგად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებული დონის დაცვა მოსახლეობის 95 პროცენტის ვაქცინაციისა, როგორც ეპიდე-

მიის აფეთქებისგან თავის დაზღვევის გარანტია, ხშირად არის უგულვებელყოფილი. ამის თვალსაჩინო მაგალითია უკრაინა. 15 წლის წინათ იქ ვაქცინაციის დონე სრულიად შეესაბამებოდა მსოფლიოს სტანდარტებს, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. 2008 წელს დიდი რეზონანსი გამო-

ინვია შემთხვევამ, როდესაც აცრიდან მეორე დღეს დაიღუპა მოზარდი. საზოგადოების წარმომადგენლების აზრით, ტრაგიკული შემთხვევა გამოიწვია უხარისხო ვაქცინამ, რომელიც უკრაინაში გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) შეიტანა ჰუმანიტარული დახმარების სახით. ამის გამო მშო-

ბლებმა მასობრივად თქვეს უარი შვილების აცრაზე. ამას დამატება სკანდალები ვაქცინის მიწოდებაზე, შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში უკრაინის ვაქცინა, პრაქტიკულად, არ შეუსყიდია, ამიტომ 2010-იანი წლების შუაში ქვეყანაში ბავშვების ნახევარი წითელაზე არ იყო აცრილი, რაც, გაეროს შეფასებით, სომალია და ნიგერიის დონეს შეესაბამება. გასაკვირი არ არს, რომ ეს ყველაფერი უკრაინის გადამდებ დაავადებაში „ლიდერობად“ დაუჯდა. ვაქცინაციის განახლებული კამპანია ჯერჯერობით მნიშვნელოვან ეფექტს არ იძლევა.

ალსანიშნავია, რომ მსოფლიო წითელას მასშტაბურ დაბრუნებას შეეჯახა მომენტში, როცა მისი სრული ლიკვიდაცია იგეგმებოდა. სწორედ ასეთ მიზანს ისახავდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 2020 წლისთვის.

ცნობისთვის:
* წითელა ჰაეროვანი გზით გადაემდები ვირუსული დაავადებაა. ის ადვილად ვრცელდება. ინფიცირების რისკი განსაკუთრებით მაღალია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. წითელას ვირუსი იწვევს ცხელებას, აგრეთვე, კანსა და ლოყის ლორწოვან გარსზე გამონაყარს. ის ხშირად რთულდება ყურის, ფილტვებისა და თავის ტვინის ანთებით. პირველი სიმპტომების გამოვლენისთანავე აუცილებელია, ექიმს მიმართო.

* წითელა ვრცელდება ინფიცირებული პირისგან ცემინებისა და ხველების დროს. ვირუსი ორი საათის განმავლობაში ცოცხლობს ჰაერში და იწვევს გარემომყოფი პირების ინფიცირებას ჰაერის ან დაბინძურებულ საგნებთან შეხების საშუალებით. ინფიცირებული პირი სიმპტომების გამოვლენამდე ოთხი დღის და გამოვლენის შემდეგ კიდევ ოთხი დღის განმავლობაში, შესაძლებელია, იყოს ვირუსის გამავრცელებელი.

* სიმპტომები: მაღალი ტემპერატურა, ხველება, ცემინება, კონიუნქტივიტი, ყელის ტკივილი. სიმპტომების განვითარებიდან მესამე-მეხუთე დღეს ჩნდება წითელი ლაქისებრი ბრტყელი გამონაყარი სახეზე, თმის საფარველის გასწვრივ კისერზე, მხრებზე და სრულიად სხეულზე.

* გართულებები: პნევმონია (20 შემთხვევიდან ერთი) ყველაზე ხშირია მცირეწლოვან ბავშვებში, ენცეფალიტი/ტვინის შეშუპება (1000 შემთხვევიდან ერთი) მთავრდება სმენის დაკარგვითა და უნარშეზღუდულობით, ყურის ინფექციები (10 შემთხვევიდან ერთი) მთავრდება სმენის დაკარგვით. შესაძლებელია, ორსულობის პერიოდში წითელა გახდეს ნაადრევი მშობიარობის ან ახალშობილის მცირე წონის მიზეზი.

* წითელა-წითურა-ყბაყურას გვეგური აცრა ტარდება ორჯერ: პირველად, როცა ბავშვი 1 წლისაა, მეორედ, როცა 5 წლისაა. ერთი აცრა ადამიანს ამ დაავადებისგან მხოლოდ 85%-ით იცავს, ორი აცრა კი — 98%-ით.

* წითელა-წითურა-ყბაყურას აცრა საქართველოში 41 წლამდე უფასოა.

მოამზადა ნიკა კორინთელა



ყველაზე
ყველაზე...

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბერლინის (გერმანია) სასტუმრო „რედისონ ბლუს“ აკვასასლი წარმოადგენს გასართობ კომპლექს BERLIN SEALIFE CENTRAL-ის ნაწილს. ამ შენობაში ლიფტი გამჭვირვალა და განლაგებულია უზარმაზარი აკვარიუმის შიგნით. აკვარიუმში 3 ათასამდე თევზი ბინადრობს.

მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად იყენებს ლიფტს სწრაფი და იოლი გადაადგილებისთვის, თუმცა ბევრი კლასტროფობიასაც განიცდის. ყველაზე ლამაზი და უჩვეულო ლიფტები განსხვავდება იმ ჩაკეტილი და პატარა სივრცის მქონე გადაადგილების საშუალებებისგან, რომლებსაც ყოველდღიურად ვიყენებთ. მინის უჩვეულო კაფსულები, ორიგინალური დიზაინი — ეს არ არის კინორეჟისორის გამოგონება. გათავაზობთ მსოფლიოში ყველაზე საოცარ ლიფტებს.



უბრაჩისტული ლიფტი ლუკსი

ლუკსში არსებული ჰიდრაგლიკური ლიფტი მუზეუმის ერთ-ერთი თავისებურებაა. ჩვეულებრივი კაბინის ნაცვლად იატაკიდან აღმართულია ცილინდრის ფორმის პლატფორმა, რომელსაც დამთვალეირებლები მეორე სართულზე აპყავს. ლიფტის შახტის გარშემო განლაგებულია უჩვეულო სილამაზის ხრახნული კიბე.



უადას ოფისების შენობის ლიფტი

ოფისების შენობა Umeda Hankyu Building-ი იაპონიის ქალაქ ოსაკაში მდებარეობს. აღჭურვილია მინის უზარმაზარი ლიფტებით. ნიუ იორკში არის სტუდია, რომელშიც არის უფრო ნაკლები ზომის ლიფტები, მათში 80-ზე მეტი ადამიანი ეტევა. მიზეზი, რომლის გამოც ლიფტები უზარმაზარი ზომებისაა, არის ის, რომ მე-15 სართულს ზევით არის ოფისები და იქ მომუშავე ადამიანთა დიდ რაოდენობას ერთდროულად უნევს ასვლა-ჩასვლა.



«გლობან არენა»

„გლობან არენა“ — სტოკჰოლმში (შვედეთი) მდებარე ნაციონალური სტადიონია. შენობა, რომელიც აგებულია 110 მ დიამეტრის სფეროს სახით, დღეს ყველაზე დიდ სფეროსებრ ნაგებობად ითვლება. „გლობან არენას“ გარეთა მხარეს დამონტაჟებულია ლიფტი — თავისებური გადასახედი მოედანი. ორ სფეროსებრ ვაგონს დამთვალეირებლები 20 წუთის განმავლობაში აპყავს შენობის ყველაზე მაღალ წერტილზე და მათ ქალაქის ხედვები ტკბობის საშუალებას აძლევს.

უნიკალური ლიფტები



გიოსსიანი ლიფტი საზღაო მუზეუმი

მუზეუმ „ვიქტორიის“ საზღვაო განყოფილებაში არის ჩრდილოეთ ამერიკის უძველესი ლიფტი, რომლითაც ფრინველები გადააყვავთ. მუზეუმის შენობაში ოდესღაც იყო სასამართლო, ლიფტი კი განკუთვნილი იყო ბრიტანეთის კოლუმბიის უზენაესი მოსამართლე თეოდორ ლევისთვის. ლიფტის მოოქროვილი და ლურჯი ნაწილები პირვანდელი სახით არის შენარჩუნებული.



ქოკოკაშია «ლოიდის» ლიფტი

სადაზღვეო კომპანია „ლოიდის“ ლონდონში მდებარე ოფისი თანამედროვე არქიტექტურული აზრის ნათელი ნიმუშია. თვით შენობას მისი გაბედული დიზაინის გამო უწოდებენ „სახლს შიგნიდან“. ყველა მილი, კიბე თუ ლიფტი შიგა სივრცის ეკონომიისთვის განლაგებულია გარეთა მხარეს.



სასტუმრო «ლუქსორის» დასრილი ლიფტები

ლას-ვეგასში (აშშ) მდებარე სასტუმრო-სამორინე „ლუქსორის“ ერთ-ერთ ღირსშესანიშნოებას წარმოადგენს დახრილი ლიფტები. აღსანიშნავია, რომ თვით სასტუმრო ეგვიპტის ერთ-ერთ პირამიდას ჰგავს. სასტუმროს ლიფტები საკმაოდ განიერი და მოძრაობს 39 გრადუსით დახრილ სიმაღლეზე.

აკვასასლი

ბერლინის (გერმანია) სასტუმრო „რედისონ ბლუს“ აკვასასლი წარმოადგენს გასართობ კომპლექს Berlin Sealife Central-ის ნაწილს. ამ შენობაში ლიფტი გამჭვირვალა და მდებარეობს უზარმაზარ აკვარიუმში, რომელშიც 3 ათასამდე თევზი ბინადრობს.



ლიფტი «მოქხვა»

ლიფტი „მოქცევა“ დამონტაჟებულია მსოფლიოში ყველაზე დიდ საკრუიზო ლაინერ Oasis of the Seas-ის ბორტზე. ლიფტის შიგნით მონყობილია ბარი, პირველი გემბანიდან ბოლო გემბანზე ასვლას მწუთი სჭირდება.



Autostadt Silos

ნაგებობა Autostadt Silos-ი მდებარეობს ქალაქ ვოლფსბურგში (გერმანია), კომპანია „ფოლკსვაგენის“ მთავარი ოფისის ახლოს. ეს არის მრავალბინიანი შენობა, რომელიც გადაკეთებულია ავტოფარეხების კომპლექსად, 800 მ სიგრძის მინისქვეშა გვირაბიდან სპეციალური სატრანსპორტო ლიფტით ავტომობილები აპყავთ ბუნკერამდე, საიდანაც სატრანსპორტო საშუალება სპეციალური ამწეკრანით მიაქვთ ქარხანა „ფოლკსვაგენის“ სპეციალურ ადგილამდე.



ფოლკეკის ბორბალი

ეს არის გემების ასანევი მბრუნავი ლიფტი, რომელიც ააგეს შოტლანდიის ქალაქ ფოლკეკში. მისი მუშაობის პრინციპი საკმაოდ მარტივია. ორიდან ერთ ნაკვეთურში შედის გემი და ინვევს ბორბლის ბრუნვას — ზედა ნაკვეთური ეშვება ქვევით, ხოლო ქვედა — ადის მაღლა. ნაგებობის სიმაღლე 24 მეტრია.



მოამზადა ნიკა კორინთიელა

სპორტი



www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მაიკლ ფელქსის სპორტულ მიღწევებს, ცურვის ტექნიკასთან ერთად, სპორტულ უკავშირებთან მის განსაკუთრებულ ფიგურას. მაიკლს 47 ზომის ტერფი აქვს, რაც, სტატისტიკის მიხედვით, მეტია მის სიმაღლესთან შედარებით. ამას გარდა, სპორტსმენს აქვს არაპროპორციულად მოკლე ფეხები, ტორსი და ხელები კი — გრძელი. მაიკლ ფელქსის ხელების განზომილება 203 სმ-ს აღწევს, რაც 10 სმ-ით მეტია მის სიმაღლეზე (193 სმ). ფელქსის სხეულის პროპორციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ლეონარდო და ვინჩის იდეალური ადამიანისგან, რომელიც ლეონარდო და ვინჩიმ დასახტა. და ვინჩის ადამიანის ხელების განზომილება სიგრძე ამ ადამიანის სიმაღლის ტოლია.

მაიკლ ფელქსი (მაიკლ ფრედ ფელქსი II) — ამერიკელი მოცურავე, დაიბადა 1985 წლის 30 ივნისს ქალაქ ბალტიმორის ჩრდილოეთის რაიონ ტოუსონში. ის ერთადერთია კაცობრიობის ისტორიაში, ვისაც 23 ოლიმპიური ოქროს მედალი აქვს მოპოვებული (13 — ინდივიდუალურ დისტანციებზე, 10 — ესტაფეტებში), არის 26-გზის მსოფლიოს ჩემპიონი, მრავალგზის რეკორდსმენი, აბსოლუტური რეკორდსმენი ჯილდოების რაოდენობის (28) მხრივ ოლიმპიური თამაშების ისტორიაში.

ჟურნალისტებმა მაიკლ ფელქსს „ბალტიმორული ტყვია“ შეარქვეს (მეორე მეტსახელია „მფრინავი თევზი“). ის ნარმატივით გამოდიოდა თავისუფალი და ბატერფლაის სტილით ცურვაში, აგრეთვე, კომპლექსურ ცურვაში.

ფელქსების სამიწილიან ოჯახში მაიკლი ნაბოლარა იყო. დედამისი — **დაბორა სიუ** საშუალო სკოლის დირექტორია, მამა — **მაიკლ ფრედ ფელქსი** ამერიკულ ფეხბურთის თამაშობდა საშუალო სკოლაში.

მაიკლმა ტოუსონის საშუალო სკოლა 2003 წელს დაამთავრა. ცურვაზე სიარული დის გავლენით დაიწყო, როცა 6 წლის გახდა. აღსანიშნავია, რომ პატარა მაიკლს ექიმებმა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის დიაგნოზი დაუსვეს. 10 წლის იყო, როცა პარჯიში დაიწყო მწვრთნელ **ბოზ ბოუზმანის** ხელმძღვანელობით. თავის ასაკობრივ ჯგუფში დიდ წარმატებებს მიაღწია და სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

2001 წლის 30 მარტს მსოფლიო ჩემპიონატზე ფელქსმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მ დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. 15 წლისა და 9 თვის მაიკლი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვისაც კი მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია ცურვაში. 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე 15 წლის ფელქსი მხოლოდ 200 მ დისტანციაზე გამოვიდა ბატერფლაის სტილში და მეხუთე ადგილი დაიკავა. ათენის ოლიმპიადაზე, 2004 წელს, 19 წლის ფელქსმა 8 მედალი მოიგო, მათგან 6 — ოქროს და 2 — ბრინჯაოსი; ამასთანავე, დაამყარა 3 ოლიმპიური და 1 მსოფლიო რეკორდი.

2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ფელქსმა მოიგო ყველა დისტანცია, რომელზეც სტარტი აიღო, და მოიპოვა 8 ოქროს მედალი, ამასთანავე, დამბო თანამემამულე **მარკ სპიტცის** რეკორდი (7 ოქროს მედალი ერთ ოლიმპიადაზე, 1972 წელს მიუნხენში). 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიურ თამაშების შემდეგ, მოპოვებული მედლების ჯილდოების საერთო რაოდენობით ფელქსმა აჯობა სპორტის სახეობების ყველა წარმომადგენელს. მან მოხსნა საბჭოთა ტანმოვარჯიშე **ლარისა ლაბინინას** რეკორდი (18 მედალი), რომელმაც 48 წლის განმავლობაში იარსება.

2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ, 27 წლის მაიკლ ფელქსმა განაცხადა, რომ დაასრულა სპორტული კარიერა, მაგრამ 2014 წელს სპორტსმენი კვლავ გამოვიდა საასპარეზოდ — 2016 წელს რიოდე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე 5 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ფელქსი ამჟამად მსოფლიოს 7 მოქმედი რეკორდის მფლობელია, სულ კი დამყარებული აქვს 37 მსოფლიო რეკორდი (29 ინდივიდუალური და 8 ესტაფეტაში). მაიკლის ანგარიშზე კიდევ 2 რეკორდია, რომლებიც 25 მ სიგრძის აუზში დაამყარა. ყველაზე მეტი რეკორდი მაიკლ ფელქსმა დაამყარა 2003 (8), 2007 (6), 2008 (9) და 2009 (7) წლებში.

ინდივიდუალურ დისტანციებზე 13-ჯერ გამარჯვებით მაიკლ ფელქსმა დაამხო რეკორდი ძველბერძენი მძლეოსნის — **ლეონიდ როდოსელისა**, რომელმაც 12-დან თავისი ბოლო 3 ოქროს მედალი ჩვ.წ. აღრიცხვამდე 152 წელს მოიგო.

«ბალტიმორული ტყვია» ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი კაცობრიობის ისტორიაში



მაიკლ ფელქსი და ბოზ ბოუზმანი



რამდენიმე ფაქტი მაიკლ ფელქსის ცხოვრებაზე:

* მაიკლ ფელქსი არა მხოლოდ სპორტშია წარმატებული, არამედ პირად ცხოვრებაშიც. ის დაქორწინებულია მოდელ ნიკოლ ჯონსონზე, რომელმაც 2010 წელს მოიპოვა ტიტული „მის კალიფორნია“.

2016 წელს ნიკოლმა ბედნიერ მეუღლეს ვაჟი გაუჩინა, რომელსაც რობერტი დაარქვეს, 2018 წელს კი წყვილს მეორე ვაჟი შეეძინა.

* 2009 ზედს სპორტსმენი დოპინგის გამოყენებაში დაადანაშაულეს. პაპარაცებმა მოცურავე მარისუანის მოსაწვევი მოწყობილობით გამოიჭირეს და, მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენის ტესტირებაში საეჭვო არაფერი აჩვენა, ხოლო კანაბისის მოწვევა აკრძალული არ არის შეჯიბრებისგან თავისუფალ პერიოდში, აშშ-ის ცურვის ფედერაციამ ფელქსი საჩვენებლად დასაჯა — დისკვალიფიკაცია

მისცა 3 თვით, იმიტომ, რომ იმედი გაუცრუა ადამიანებს, რომლებსაც მისი სჯეროდათ.

* მაიკლ ფელქსის სპორტულ მიღწევებს, ცურვის ტექნიკასთან ერთად, სპორტულ უკავშირებთან მის განსაკუთრებულ ფიგურას. მაიკლს 47 ზომის ტერფი აქვს, რაც, სტატისტიკის მიხედვით, მეტია მის სიმაღლესთან შედარებით. ამას გარდა, სპორტსმენს აქვს არაპროპორციულად მოკლე ფეხები, ტორსი და ხელები კი — გრძელი. მაიკლ ფელქსის ხელების განზომილება 203 სმ-ს აღწევს, რაც 10 სმ-ით მეტია მის სიმაღლეზე (193 სმ). ფელქსის სხეულის პროპორციები მნიშვნელოვნად განსხვავდება **ლეონარდო და ვინჩის** იდეალური ადამიანისგან, რომელიც **ლეონარდო და ვინჩიმ დასახტა**. და ვინჩის ადამიანის ხელების განზომილება სიგრძე ამ ადამიანის სიმაღლის ტოლია.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე ფელქსმა მოიგო ყველა დისტანცია, რომელზეც სტარტი აიღო, და მოიპოვა 8 ოქროს მედალი, ამასთანავე, დამბო თანამემამულე მარკ სპიტცის რეკორდი (7 ოქროს მედალი ერთ ოლიმპიადაზე, 1972 წელს მიუნხენში). 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიურ თამაშების შემდეგ, მოპოვებული ჯილდოების საერთო რაოდენობით ფელქსმა აჯობა სპორტის სახეობების ყველა წარმომადგენელს. მან მოხსნა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ლარისა ლაბინინას რეკორდი (18 მედალი), რომელმაც 48 წლის განმავლობაში იარსება



ახალგაზრდობაში



მაიკლ ფელქსი მეუღლესთან ერთად



ესპანეთ-ბრიტანეთის ნაპოვნილი ომი არს ისა ნარეოუდგენელია

ევროპულ ქვეყნებს შორის „დიდი“, სრულფორმატიანი ომის იდეა, თანაც ევროპის ტერიტორიაზე, ბევრს ძალიან სასაცილოდ და უაზრობად ეჩვენება, მაგრამ სინამდვილე ისეთ ფაქტებს შემოგვიგდებს, რომ ჩავგაფიქრებს — აჩქარება არაფერს გვარგებს.

ახლახან, 2019 წლის 17 თებერვალს, ესპანეთის საპატრულო კორვეტი P44 Tornado იარაღის მუქარიტ გიბრალტარის ტერიტორიულ წყლებში შევიდა. გიბრალტარი ჯუჯა სტრატეგიული ტერიტორიაა, რომელიც ინგლისელებმა ესპანეთს ნაართვეს და საიდანაც ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის დამაკავშირებელი გიბრალტარის სრუ-

ტის კონტროლი შესაძლებელია. ინგლისელებს აქ განლაგებული აქვთ თავიანთი სამხედრო ბაზა. Tornado მიუახლოვდა ლუზის ჩასაშვებ სადგომს და კომერციულ გემებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გასცლოდნენ იქაურობას. სავაჭრო ხომალდების უმეტესობამ პრინციპით — სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს — მშვიდად გაარიდეს თავი იქაურო-

ბას: ეშმაკმა უწყის, რა აქვთ ჩაფიქრებული ესპანელებს. ხომ შეიძლება, რომ გახსნან ცეცხლი და შემდეგ იჩიველ საიქიოდანო!

მიზანს რომ მიადნია, ესპანურმა საპატრულო თავისი ქვეყნის აფრიალებული დროშით დემონსტრაციულად ჩაუარა „ბრიტანეთის სანაპირო ზოლს“. კორვეტის შესაჩერებლად გიბრალტარის ბაზიდან სასწრაფოდ დაიძრა დაცვის რამდენიმე ბრიტანული კატარა.

კონფლიქტი მშვიდობიანად დამთავრდა — იარაღი არც ერთ მხარეს არ გამოუყენებია. ლონდონმა დაიწყო ჩივილი და

წუწუნი საკუთარ მიმე ბედსა და ესპანელთა თავხედობაზე; მადრიდმა ჯერ დაიმორცხვა, შემდეგ კი პირდაპირ განაცხადა: ხომალდი საპატრულოა, ზღვის სივრცე, რომელშიც იმყოფებოდა, ესპანეთისაა. ასე რომ, Tornado-ს კაპიტანს არაფერი დაურღვევია. ესპანეთი უკმაყოფილოა, რომ უცხოეთის სამხედრო ძალებისთვის გიბრალტარი ხელმისაწვდომი ტერიტორიაა და განზრახული აქვს, მომავალშიც განახორციელოს ამ უმსგავსობის ალსაკვეთი ღონისძიებები.

ეს არ არის ამ სახის პირველი ინციდენტი: წლეულს მესამე შემთხვევაა, შარშან სამ თვეში ათზე მეტი იყო — სამსამი ყოველთვიურად.

2016 წლის მაისში კი ბრიტანეთის კატარღებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გაუხსნეს ესპანეთის საპატრულო გემს, რომელიც ცდილობდა, არ შეეშვა ამერიკული წყალქვეშა ნავი გიბრალტარში.

უნინ კონფლიქტები ფულთან იყო დაკავშირებული, ერთ ოჯახში ნამოჭრილ უთანხმოებას ჰგავდა, მაგრამ ამჟამად დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან მოსალოდნელი გასვლის გამო ვითარება კარდინალურად იცვლება. ხელიდან ეცლებათ მატერიალური პრეფერენციის მშვიდობიანად გადაწყვეტის საშუალებები, კონფლიქტების მიზეზები კი რჩება. თუ უნინ შესაძლებელი იყო ფულის გადახდის სანაცვლოდ ესპანეთი დათმობაზე წასულიყო, ბრექსიტმა კომპრომისების მიღწევის ყველა გზა გადაკეტა. მადრიდს ფულის წყარო დაუშრა, ლონდონს არ სურს, უარი თქვას შეჩვეულ შეღავათებზე.

შედეგად კონფლიქტი თანდათან პრინციპულ კატეგორიაში გადადის. ისტორიაში ასეთი პრინციპული დაპირისპირებები მხოლოდ ომით წყდება, რომელთა გამოვრების პერსპექტივა არა მხოლოდ არსებობს, არამედ რეალური ხდება.

ალექსანდრე ზაპოლსკისი

საქართველო
თუ გზურთ, გაზიარეთ „საქართველო და მსოფლიო“ მიწოდებული სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შვიდიმლიათ დაუპაპირდეთ შვიდზე კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეოქაი“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



ლავროვა ვენესუელაში შექმნილ ვითარებაზე პოპულისთან იმსჯელა

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან ვენესუელაში შექმნილ ვითარებაზე იმსჯელა, აგრეთვე, ვენესუელის თემატიკაზე ორმხრივი კონსულტაციების ჩატარებაზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, სატელეფონო საუბარი აშშ-ის ინიციატივით გაიმართა.

„ყურადღების ცენტრში იყო ვითარება ვენესუელის გარემო. სერგეი ლავროვმა დეაგმო ამერიკის მუქარები კანონიერი ხელისუფლების მიმართ, რაც სუვერენული სახელმწიფოს საზინაო საქმეებში დაუფარავი ჩარევა და საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა“, — განაცხადეს რუსეთის საგარეო უწყებაში.

მოამზადა ნიკოლოზ აბაშიძემ

გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“ ჟურნალისტიკაში გულწრფელად ვუსამძიმრებთ ჩვენს მეგობარს, დიდ ქართველ პოეტს — რეზო ამაშუკელს ძმის ირაკლი ამაშუკელის გარდაცვალების გამო.

გადურომ კოვანია PDVSA-ს ოფისის მოსკოვში გადატანის განაკრულება გახსნა

ვენესუელის ვიცეპრეზიდენტ დელსი როდრიგესის განცხადებით, ვენესუელის სახელმწიფოს მეთაურმა ნიკოლას მადურომ გადაწყვიტა, დახუროს სანავთობე კომპანია PDVSA-ს ლისაბონში მდებარე ოფისი და გადაიტანოს მოსკოვში. ეს განცხადება როდრიგესმა რფ-ს საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან შეხვედრის შემდეგ საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, ამ ზომის მიღება გამოწვეულია იმით, რომ ევროპა არ იძლევა აქტივების დაცვის გარანტიას. ამასთანავე, ოფისის რუსეთში გადატანა შეესაბამება კომპანიის გეგმებს, გააფართოოს თანამშრომლობა „როსნეფტსა“ და „გაზპრომთან“.



ს ი ა ს ლ ა !
ტიბეტური მედიცინით კურსნალობა
ლიცენზია N 035121
● პროსტატი, პროსტატიის დაქვეითება, გაქნალებული შარდვა;
● ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, ბართულაპული კლიმაქსი, უშვილობა;
● ნეკროზი, მისინარაგისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
● თავის, ხერხემლის, წელის ტიპილავი, სახსრებისა და კმლები ტიპილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.
მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ტიბეტური წამლები და პროსტატიის პრეპარატების გარეშე.
599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომაჯობა!
გაქვთ კოვლაქსი სიდაგლის გამო?
დახეხეთ ახლავი
574 47 39 04
0790 30 94 35

კვალ-სახსრთა პათოლოგიისა და გახლომა-გახსუქების წინააღმდეგ
კოქსარტროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რემატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიორთრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტიკივლების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციო სახსრებზე უახლესი მეთოდებით.
ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.
გახლომა-გახსუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მონერეგებით, ქოლესტერინისგან განწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.
ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წაბთლის №142, I სართ.
კაბინატი №6. ქალაქი ქუთაისი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუბრით რვენს სიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირსებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შვიდიმლიათ არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894
9177223313890091